როგორ და რამდენზე უნდა გავყოთ ციფრი "ცხრა"? A3

ვისთან არ იქნება ნინო ბურჯანაძე A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 15 ივლისი, 2003 წელი. №192 (404)

ფასი 30 თეთრი

## თბილისში კიდევ ერთი ადამიანი გაიტაცეს

თამარ კაციტაძე

*გავრცელდა ხმები, რომ ბოლო პერიოდში თბილისში, ფულის გამოძალვის მიზნით, რამდენიმე ადამიანი გაიტაცეს, მაგრამ ჯერჯერობით, ოფიციალურად არც ერთი ფაქტი არ გახმაურებულა. სხვათა შორის, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა უარყო გატაცებების შესახებ გავრცელებული ხმები და განაცხადა: თუ ასეთ ფაქტს ექნებოდა ადგილი, ჩვენ აუცილებლად გვექნებოდა ინფორმაციაო.*

მინისტრისგან განსხვავებით, გუშინვე, "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღის წინ ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან დაიკარგა მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლის მკვიდრი 17 წლის ბექა მუმლაძე.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, მუმლაძის გაუჩინარების ფაქტზე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული, მაგრამ სამართალდამცველები საქმის აღძვრის ფაქტსაც კატეგორიულად უარყოფენ. სარწმუნო წყაროს ცნობით კი, მუმლაძის ოჯახს უკვე დაუკავშირდნენ გამტაცებლები, რომლებიც გარკვეულ თანხას ითხოვენ.

ბექა მუმლაძე ეროვნული გვარდიის მეთაურის კობა კობალაძის ნათესავის, თამაზ მუმლაძის შვილია. თამაზ მუმლაძის სახელი საზოგადოებისთვის თურქეთში დაკავებული იარაღის პარტიის საქმის გამოძიების გამო გახდა ცნობილი.

დაახლოებით ერთი წლის წინ, საქართველო-თურქეთის საზღვარზე თურქმა მესაზღვრეებმა თურქეთის მოქალაქე დაუდ ერტამოზის ავტომობილი დააკავეს, რომელიც იარაღით იყო დატვირთული. როგორც იქაურმა სამართალდამცველებმა დაადგინეს, საქართველოში შეძენილი იარაღი ქურთული ტერორისტული ორგანიზაციისთვის იყო განკუთვნილი. სხვათა შორის, ეროვნული გვარდიის მეთაურის ნათესავი იარაღის ვაჭრობაში სწორედ დაუდ ერტამოზმა ამხილა.

მართალია, თავდაპირველად, ქართველი სამართალდამცველები თამაზ მუმლაძის პიროვნებით სწორედ თურქეთში გატანილი იარაღის გამო დაინტერესდნენ, მაგრამ საბოლოოდ მისი დაპატიმრების მიზეზი მის საცხოვრებელ სახლში აღმოჩენილი რამდენიმე ავტომატი, შაშხანა და სხვა საბრძოლო მასალა გახდა. სწორედ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის მუმლაძეს ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოგვიანებით საოლქო სასამართლომ მუმლაძეს პატიმრობა შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიებით, პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა. მუმლაძის გათავისუფლების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა, რის გამოც იგი ამჟამად ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია მოთავსებული. თუმცა, ეროვნული გვარდიის მეთაურის ნათესავის ავადმყოფობას ეჭვის თვალით უყურებს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელობა და ამჟამად, მისი ჯანმრთელობის შესასწავლად ექსპერტიზაა დანიშნული. სწორედ მამის სანახავად იყო მისული ბექა მუმლაძე ასათიანის ქუჩაზე, მაგრამ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

როდის ან რა გზით გაათავისუფლებენ ბექა მუმლაძეს, წინასწარ ძნელი სათქმელია. ასევე ძნელი სათქმელია, აღიარებს, თუ არა ოფიციალურად ოდესმე შსს მისი გატაცების ფაქტს.

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | ☁ |
| ბათუმი | 28 | ☁ |
| სოხუმი | 29 | ☁ |
| ფოთი | 30 | ☁ |
| თელავი | 30 | ☼ |
| ზუგდიდი | 32 | ☁ |
| გორი | 28 | ☁ |
| ახმეტა | 30 | ☼ |
| ჭიათურა | 32 | ☁ |
| გაგრა | 29 | ☁ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1300 |
| ევრო | 2.4887 |
| გირვანქა სტერლ | 3.5720 |
| რუბლი | 0.0702 |

## პარლამენტის თავმჯდომარე კონტრშეტევას ამზადებს

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ეკონომიკური პრობლემატიკაც იქნება განხილული: საგადასახადო კოდექსი, მთავრობის ინფორმაცია 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგების შესახებ, ბიუჯეტის სეკვესტრი.*
*"მე ვაპირებ, ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგებზე მსჯელობის დროს, ძალიან რადიკალური ვიყო. ამასთან, რაც უფრო ახლოვდება მთავრობის თავისმართლების დრო, მით უფრო მატულობს მცდელობა, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობა პარლამენტს დაბრალდეს. არადა, ყველასთვის ნათელია, რომ ბიუჯეტის ჩავარდნა მთავრობის უმოქმედობის ბრალია", - აცხადებს ბურჯანაძე და აღმასრულებელ ხელისუფლებას აგრძნობინებს, რომ პარლამენტზე აპელირება კონტრშეტევა შედეგს ვერ გამოიღებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნინო ბურჯანაძე სავალუტო ფონდის რეკომენდაციათა შეუსრულებლობის პარლამენტისთვის გადაბრალების წინააღმდეგ არგუმენტებს რიგგარეშე სესიაზე წარადგენს.*

## იტალია - მნიშვნელოვანი სამხედრო მოკავშირე

ლელა მჭედლიძე

ნატო-ში გაწევრიანებაში მხარდაჭერას საქართველოს უკვე იტალიაც ჰპირდება. იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ფილიპო ბერსელის განცხადებით, საქართველოს იტალია როგორც სამხედრო ტექნიკით, ისე სასწავლო პროგრამებით დაეხმარება, განსაკუთრებით კი - "იტალია-საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის" შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ. ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 1999 წელს მოეწერა ხელი, თუმცა რატიფიცირება მაშინ რატომღაც ვერ მოხერხდა. ამ ვიზიტის შემდეგ მიღწეული შეთანხმებები კი, ბერესელის განცხადებით, ხელშეკრულებაში დამატებით მუხლად შევა.

იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გუშინ ქვეყნის მეთაურსაც შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრას თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ესწრებოდა. გარდა ამისა, ბერსელი თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ნუგზარ ქევხიშვილსაც ესაუბრა.

ნაწილობრივ დახურული იყო, ასევე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან გამართული შეხვედრა. კომიტეტის თავმჯდომარის ბათიაშვილის განცხადებით, **"იტალია საქართველოს უახლოეს მომავალში ტექნიკურ დახმარებას ჰპირდება, ოღონდ არა სამხედრო ტექნიკის, არამედ ინვენტარის სახით. იტალიის დაპირება კი, ნატო-ში ინტეგრაციის მხრივ მხარდაჭერის თაობაზე, ძალზე საგულისხმო ფაქტორია, რადგან ეს მნიშვნელოვანი მოკავშირის შეძენას ნიშნავს."**

როგორც ბათიაშვილი აცხადებს, საუბარი იყო ასევე იტალიელი კარაბინერების მიერ ქართველი სამართალდამცავებისათვის გამოცდილების გაზიარების თაობაზე. საქართველო, "ტექნიკური დახმარების" სახით, იტალიელებისაგან საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებას, რესურსების მართვის თვალსაზრისით კი, გამოცდილების გაზიარებასაც ითხოვს.



*დავით თევზაძე და ფილიპო ბერსელი სტრატეგიული თანამშრომლობის მთავარ პრინციპებზე შეთანხმდნენ.*

## კონტრაბანდას ყველა „ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

ზურაბ ბარაყანიძე

**(დასაწყისი N189, N190)**

*თამბაქოს ნაწარმისა და ნავთობპროდუქტების შავი ბაზრის მიმოხილვის შემდეგ, თითქოს ნაკლებად შთამბეჭდავი უნდა იყოს კონტრაბანდის სხვა ასპექტების განხილვა. მაგრამ ასე სულაც არ არის.*

2000 წელს საქართველოზე ტრანზიტის სახით გაფორმებულია 25 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 42 ათასი ტონა ეთილის სპირტი, ხოლო **იმპორტის რეჟიმით გაფორმებულია 1,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 3 ათასი ტონა, რაც საქართველოში წარმოებული სპირტიანი სასმელებისათვის საჭირო ნედლეულის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის მონაცემებით, სპირტიანი სასმელების უმეტესი ნაწილი ქვეყანაში სწორედ იმპორტული ეთილის სპირტით იწარმოება.** სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია ახლაც გრძელდება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბათუმის საბაჟო სამმართველოს მიერ სარფში ან ბათუმში ხდება "სიფ", "თბილისის", "გორის", "ქუთაისის" და ა.შ. რეჟიმით იმპორტირებული ტვირთების განბაჟება, რაც საბაჟო გადასახადების აჭარის ბიუჯეტში მთლიანად მიმართვას იწვევს, ხოლო **ტვირთები საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, პრაქტიკულად, კონტრაბანდულად შედის.** აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აიკრძალოს ბათუმის

გაგრძელება A2 გვერდზე

## დაკავებულები ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩნენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

კვირას, გვიან ღამით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც რამდენიმე დღის წინ ავტომანქანის წართმევის მიზნით თავდამსხმელების მიერ მოკლული თემურ შენგელიას ნათესავები დაზარალდნენ. ისინი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაწევ-გამოწევა და შეიარაღებული შეტაკება მოსახლეობასა და ადგილობრივ პოლიციას შორის მოხდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პოლიცია მომხდარი ინციდენტის დროს მხოლოდ გამშველებლის როლს ასრულებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მოკლული თემურ შენგელიას ნათესავები მკვლელობაში ეჭვმიტანილების ახლობლებს დაუპირისპირდნენ და მათი სახლების გადაწვა სცადეს. მხარეებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რასაც სროლა მოჰყვა. მოკლულის ნათესავები ორმხრივი სროლისას დაიჭრნენ. მანამდე კი, თემურ შენგელიას ჭირისუფლები ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში შეიჭრნენ და სამართალდამცველებს, რომლებმაც თემურ შენგელიას მკვლელობაში ეჭვმიტანილები დანაშაულის ჩადენიდან ორი დღის შემდეგ დააკავეს, მათი მკაცრად დასჯა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეთა და მათი ახლობლების ამოწყვეტით იმუქრებოდნენ.

თემურ შენგელიას მკვლელობაში ეჭვმიტანილები ირაკლი გობეჩია, გაიოზ ფირცხელიანი და ჯონი შენგელია ზუგდიდის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. მათ ბრალი გუშინ წაუყენეს. ჩხრეკისას მათი სახლებიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი თოფი, შაშხანა, ხელყუმბარები, ნიღბები და საბრძოლო იარაღი ამოიღეს, რომლებსაც ისინი, სავარაუდოდ, ადრე ჩადენილი ყაჩაღობების დროს იყენებდნენ. დაკავებულებმა უკვე აღიარეს დანაშაული და ჩვენების მიცემისას თემურ შენგელიაზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის დეტალები გაამხილეს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სამართალდამცველები სიტუაციის გართულებასთან დაკავშირებით, ყაზარმულ რეჟიმში მუშაობენ, რაც ჩვენთან საუბრისას კატეგორიულად უარყვეს იმ კანონდამცველებმა, რომლებსაც უშუალოდ მოუხდათ ჯიხაშკარში მომხდარი ინციდენტის განმუხტვა.

**"ყველაფერი ყოველთვის პოლიციას ბრალდება. დავიჭერთ - რატომ დაიჭირეთო, არ დავიჭერთ - რატომ არ დაიჭირეთო. სიტუაციას განვმუხტავთ - რატომ ჩაერიეთო. როგორღა მოვიქცეთ? "ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები" – ასეა ჩვენი საქმე",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის ერთ-ერთმა მოადგილემ.

## მთავრობა პარლამენტს ბიუჯეტის სეკვესტრის გეგმას წარუდგენს

სოფო კვინტრაძე

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მთელი დღის მანძილზე გრძელდებოდა კონსულტაციები 2003 წლის ბიუჯეტის კორექტირების გეგმასთან დაკავშირებით. მთავრობის ეკონომიკური ბლოკი ჯერ სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან თათბირობდა, შემდეგ კი - პრეზიდენტთან. როგორც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი აცხადებს, ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, მიმდინარე წელს რომელ უწყებას რამდენით შეუმცირდება ხარჯები. გოგიაშვილის ინფორმაციით, კონსულტაციები დღესაც გაგრძელდება და ბიუჯეტის კორექტირების დოკუმენტს პრეზიდენტი ხელს ოთხშაბათს მოაწერს. ამის შემდეგ, დოკუმენტი პარლამენტს წარედგინება განსახილველად. როგორც ცნობილია, ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით კორექტირება სავალუტო ფონდის მისიის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა, რომელიც მთავრობამ 15 აგვისტომდე უნდა შეასრულოს. სავალუტო ფონდის მისიის მიერ 7 ივლისს დატოვებულ დასკვნით ანგარიშში საბიუჯეტო ხარჯების შემცირება 96 მილიონი ლარით, უწყებების მიხედვით შემდეგნაირადაა გაწერილი: საქართველოს პარლამენტი – 1,5 მილიონი ლარი, პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდი – 5 მილიონი ლარი, ძალოვანი სამინისტროები – 20 მილიონი ლარი, კულტურული პროგრამები – 1,5 მილიონი ლარი, საელჩოები – 1,8 მილიონი ლარი, სოფლის მეურნეობის პროგრამები – 4,4 მილიონი ლარი,

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ღრმად პატივცემული ქართველის ძიებაში"

### ანუ ნათელაშვილის ახალი იდეა

ვერიკო თევზაძე

*გუშინ შალვა ნათელაშვილმა თავისი ბოლოდროინდელი ინიციატივა – წმინდა სინოდის მიერ ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა - სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გააფორმა.*

შრომის პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ საყოველთაო უნდობლობის პირობებში ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას საზოგადოებაში მხარდაჭერა არ ექნება: **"ოთხფრთიანი ანგელოზიც რომ იყოს (ორი ფრთა, რასაკვირველია, საკმარისი აღარ იქნება), დარწმუნებული ვარ, მის წინააღმდეგ შავი პიარი ამუშავდება."**

ნათელაშვილის იდეა-პროექტის მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის, ანუ "ღრმად პატივცემული ქართველის" კანდიდატურას – დეპოლიტიზებულ სამოქალაქო პირს – წარმოადგენს ყველა მსურველი, იქნება ეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ სახელმწიფო დაწესებულება. შემდეგ, წმინდა სინოდი განიხილავს წარდგენილ კანდიდატთა საკითხს და მათგან ყველაზე "პატივცემულს" "აკურთხებს" (დიახ, გამოთქმა – "აკურთხებს" - მოიშველია ნათელაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე). საბოლოოდ, სინოდის მიერ შერჩეული კანდიდატურა ეუთო-მ უნდა დაამტკიცოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "გსეკ"-მა იმერეთი ჩააბნელა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

"საქართველოს გაერთიანებულმა ენერგოკომპანიამ" გუშინ, საღამოს ექვს საათზე, იმერეთის რეგიონს ელექტროენერგიის მიწოდება კვლავ შეუზღუდა. ენერგოკომპანიის მიერ დაწესებული მკაცრი გრაფიკის მიხედვით, შუქი რეგიონს მხოლოდ დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვს საათამდე მიეწოდება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებით მწვავე რეაქცია რწუნებულის მხრიდან მოჰყვა. **"ეს ენერგოკომპანიის მხრიდან ავანტიურაა. ხოლო ვინც ავანტიურაზე წავა, ჩვენგანაც შესაფერის პასუხს მიიღებს. თუკი საღამოს ექვს საათზე 110 კილოვატიან ხაზს გათიშავენ, ეს ნიშნავს იმას, რომ ელექტროენერგიას ენგურჰესიდან თურქეთში ყიდიან. თუკი საღამოს შუქი გამოთიშეს, მე ძალისმიერ მეთოდებზე წავალ,"** - აცხადებდა გუშინ შაშიაშვილი. საღამოს ექვს საათზე კი რეგიონს შუქი მართლაც შეუწყვიტეს. ნახევარ საათში შაშიაშვილი რიონჰესზე ჩადის და შუქს საკუთარი ხელით რთავს. მისივე ინფორმაციით, ჰესს 20 მეგავატის გამოსამუშავებლად საჭირო წყლის დაღვრა დისპეტჩერმა დაავალა. **"ჰესზე გარკვეულ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მე აღნიშნულ ტექნიკას ვფლობ და დანადგარები ჩავრთე... არ თვლიან საჭიროდ, რომ რამე შემეკითხონ და მეც იძულებული გავხდი, ასეთი ნაბიჯისთვის მიმემართა. არ მსურს მონური ფსიქოლოგიით ვიცხოვრო და მზად ვარ პასუხი ვაგო. თუ საჭირო გახდება, ჩემს მიმართ გადაწყვეტილებაც მიიღონ... მე არ ვამბობ, ვინც არ იხდის, ის ჩართეთ-თქო, მაგრამ გადამხდელს შუქი არ უნდა შეეზღუდოს,"** - აცხადებდა უკვე საღამოს შაშიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მან "რიონჰესიდან" ქალაქისთვის შუქის მიწოდების აღდგენა შესძლო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქუთაისი მთლიანად ჩაირთო. აღნიშნული ჰესიდან შუქი მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს მიეწოდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გაანადგურეთ რუსული იარაღი

*მსოფლიოს რომ დიდი ხანია ტერორიზმის საფრთხე აწუხებს, უცნობი არავისთვის აღარ არის. ეს საფრთხე კიდევ უფრო მასშტაბური გახდება, თუკი ტერორისტთა ხელში მასობრივი განადგურების იარაღი აღმოჩნდება. ამის შესაძლებლობა კი საკმაოდ რეალურია. მსოფლიოში არსებობენ ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ამზადებენ მასობრივი განადგურების იარაღს და ეჭვმიტანილნი არიან ტერორისტებთან კავშირში. ასევე არსებობს ქვეყანა, სადაც დიდი რაოდენობით მასობრივი განადგურების იარაღია აკუმულირებული და, რაც ყველაზე სახიფათოა, ეს იარაღი არ კონტროლდება. ასეთი ქვეყანაა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. "ვაშინგტონ პოსტმა" ამ პრობლემას საკმაოდ საინტერესო სარედაქციო სტატია მიუძღვნა, რომელსაც უცვლელი სახით გთავაზობთ.*

უკანასკნელ ხანებში პრეზიდენტმა ბუშმა მოახერხა დაერწმუნებინა აშშ-ს მოკავშირეები იმაში, რომ ტერორისტების ხელში მასობრივი განადგურების იარაღის მოხვედრა სერიოზულ გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ბუშმა ამ აზრის გაცნობიერება ვერ აიძულა ვერც თავის ბიუროკრატიას და ვერც კონგრესში წარმოდგენილ რესპუბლიკელებს. როგორც ჩანს, ის ამას საკმარისად არც ცდილობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# კონტრაბანდას ყველა „ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

პირველი გვერდიდან

საბაჟოზე ისეთი ტვირთების განბაჟება, რომელთაც საბაჟო რეჟიმით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განბაჟება არ ეკუთვნის.

საგანგებო ლეგიონის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. **ქვეყნის ბაზარი კვლავ გაჯერებულია კონტრაბანდული საქონლით.** ლეგიონის მიერ სულ გამოვლენილია თვეში საშუალოდ 275 სამართალდარღვევა. ამ ფაქტებიდან მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის უკანონო შენახვაზე, გადაზიდვასა და რეალიზაციაზე პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის 43 საქმე, ხოლო თვით ლეგიონის მიერ საბაჟო და საგადასახადო წესების დარღვევისათვის - სისხლის სამართლის 23 საქმე. ფაქტების 6 პროცენტზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე და, საშუალოდ, ერთ საქმეზე ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა თანხამ მხოლოდ 3,6 ათასი ლარი შეადგინა. თუმცა, 2002 წლიდან ლეგიონის მუშაობაში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა.

2000 წლის 1 ივნისიდან, როგორც ცნობილია, ამოქმედდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი. ამ კოდექსით "კონტრაბანდა" შეცვლილია "საბაჟო წესების დარღვევით". **მიგვაჩნია, რომ ქვეყნის სტრატეგიული, ევრაზიული დერეფნის ფუნქციიდან გამომდინარე, აგრეთვე მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმის მზარდი საფრთხიდან გამომდინარე, ცალკე უნდა შეიქმნას კანონი "კონტრაბანდის შესახებ".** მასში ტერმინი "კონტრაბანდული" (იტალიური სიტყვაა და ნიშნავს მთავრობის ბრძანებულების წინააღმდეგ ქმედებას) უნდა ეწოდოს თავისუფალი ბრუნვიდან ამოსაღები, ამავე კანონით განსაზღვრული, საქონლის ჩამონათვალს. ამ კანონითვე უნდა გაიმიჯნოს იმ უწყებების ფუნქციები, რომლებსაც კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა დაევალება. ამგვარი გამიჯვნით მოხდება ე.წ. სამეურნეო კონტრაბანდისა და კონტრაბანდის სხვა უფრო კლასიკური სახეების (მაგ., იარაღი, ძლიერმოქმედი ქიმიკატები, რადიაქტიური ნივთიერებები, ნარკოტიკები და ა.შ.) დიფერენცირება. მსჯელობის საგნად უნდა იქცეს პროკურატურის წინადადებაც სსკ 214-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომ დანაშაულისა და მისი კვალიფიკაციისათვის საბაჟო გადასახადის რაოდენობა კი არ იყოს განმსაზღვრელი, არამედ - თვითონ კონტრაბანდის საგნის საბაჟო ღირებულება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში ბრიტანული კომპანია "აი თი ეს"-ის საქმიანობა. 2000 წელს, ნაცვლად "აი თი ეს"-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი 260 მილიონი აშშ დოლარისა, საბაჟოდან მობილიზებულია მხოლოდ 137,1 მილიონი აშშ დოლარი, ანუ გეგმის 50,5 პროცენტი. იგივე მდგომარეობა იყო 2001 წელსაც. უკვე ამ ფაქტის გამო შესაძლებელი იყო ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა 2001 წლის 5 თებერვალს შემოსავლების სამინისტროსა და "აი თი ეს"-ს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე გადაიხედა და შეიცვალა მხოლოდ ხელშეკრულების საბაჟო სისტემის რეფორმის დაფინანსებასთან დაკავშირებული პუნქტები, ხოლო კომპანიის უმთავრესი ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხი არ განხილულა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებებზე არ დამდგარა დღის წესრიგში სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების წინასაიმპორტო ტესტირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხიდან ამოღების საკითხი. მაშინ, როდესაც სიგარეტზე 1999 წლიდან აქციზური მარკებია შემოღებული, ხოლო ნავთობპროდუქტებზე 2000 წლის გაზაფხულიდან მოქმედებს აქციზის ფიქსირებული განაკვეთები - ე.ი. ამ ორი სახეობის საქონლის წინასაიმპორტო ტესტირების აუცილებლობა, პრაქტიკულად, არ არსებობდა, ვინაიდან ისინი ფიქსირებული განაკვეთებით იბეგრებიან, "აი თი ეს" კი მთელი ამ ხნის განმავლობაში აგრძელებდა მათ ტესტირებას, რისთვისაც იმპორტიორებისგან საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებაც მიიღო. ეს კი, თავის მხრივ, იმპორტიორებისათვის დამატებითი "სტიმული" იყო, რათა პროდუქციის ნაწილი კვლავ დეკლარაციაში დაუფიქსირებლად შემოეტანათ, ანუ **"აი თი ეს" პრაქტიკულად ე.წ. "ლეგალური" კონტრაბანდის წამახალისებლად მოგვევლინა.**

ამ კომპანიის ტენდერში მიღწეული წარმატების ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ გარდა საბაჟო სისტემის ინსტიტუციონალური სრულყოფისა, მან კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების საკითხიც თავის თავზე აიღო. კომპანიამ საქართველოს მთავრობას აღუთქვა, რომ თავისი უცხოური წარმომადგენლობების საშუალებით საქართველოს იმ რეგიონებს გააკონტროლებდა, რომლებზეც ჯერჯერობით ქვეყნის იურისდიქცია არ ვრცელდება. კომპანიამ ეს პირობა, ფაქტობრივად, ვერ შეასრულა. არადა, სამთავრობო კომისიამ ყურადღება არ მიაქცია მეტად მნიშვნელოვან ორ დეტალს:

ჯერ ერთი, თავისი უცხოური წარმომადგენლობების მხრივ, კონტროლის პარალელურად ბრიტანელებმა წარმოადგინეს წინადადება კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მობილური შერეული ბრიტანულ-ქართული ჯგუფების შექმნის შესახებ, და ეს ამოცანა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში, პრაქტიკულად (ისევე როგორც მანამდე საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიული ქვედანაყოფის მხრივ) განუხორციელებელი დარჩა. **მათ ვერ შეძლეს ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონების გაკონტროლება. ამ ამოცანის გადაჭრა სწორედ ბრიტანელებს უნდა მოეხდინათ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე "ბურონზე", "ქვემო ზარამაგზე" და "ფსოუზე" თავიანთი წარმომადგენლობების შექმნის გზით. სამწუხაროდ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა "აი თი ეს"-მა არ გადაჭრა.**

და მეორეც, საბაჟო ტენდერის მე-2 ეტაპის (1999 წლის აპრილი) სამთავრობო კომისიის სხდომაზე ტენდერში ამ ეტაპზე მონაწილე სამივე კომპანიის (მათ შორის, "აი თი ეს"-ის) წარმოდგენილი პირობები არასრულყოფილი და ზოგადი იყო, წარმოდგენილი არ იყო აღნიშნული კომპანიების საქმიანობაზე კომპეტენტური საერთაშორისო აუდიტორული დასკვნები, აღნიშნული კომპანიების საიმედობაზე მათი ადგილსამყოფელი ქვეყნების საგადასახადო და დიპლომატიური დაწესებულებების დასკვნები.

"აი თი ეს"-ის საქართველოში საქმიანობიდან არა მარტო საბაჟო დეპარტამენტმა, არამედ სხვა უწყებებმაც უნდა გამოიტანონ საჭირო გაკვეთილი იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში უცხოური კომპანიების საინვესტიციო საქმიანობას სერიოზული ექსპერტიზა გაეწიოს.

# „ღრმად პატივცემული ქართველის ძიებაში"

პირველი გვერდიდან



რას არ მოიგონებს შალვა ნათელაშვილი.

ნათელაშვილი ისტორიულ წიაღსვლებს აკეთებს, მოჰყავს მაგალითები ჩვენი წარსულიდან, რათა შემდეგ დაასკვნას, რომ ეკლესიის მიერ ცესკო-ს თავმჯდომარის შერჩევა სულაც არ არის დაუშვებელი. მეტიც, ისეთ ვითარებაში, როცა "ერის მთლიანობა შეიძლება გაიხლიჩოს", ნათელაშვილი აუცილებლად მიიჩნევს ეკლესიის ჩარევას... არჩევნებში.

ეკლესიის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში საქართველოს სინამდვილეში ისტორიულად ცნობილია, მაგრამ ეკლესიის ჩართვა არჩევნებში (სადაც განმსაზღვრელი პოლიტიკური თამაშის წესებია) და თანაც, ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურის შესარჩევად, რბილად რომ ვთქვათ, აკნინებს და აუფასურებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლს და დანიშნულებას.

მეორეც, დავუშვათ და ეუთო-მ არ მოიწონა, არ დაგვიმტკიცა წმინდა სინოდის მიერ შერჩეული, მის მიერ ნაკურთხი კანდიდატურა, მაშინ როგორ მოიქცევით, ბატონო შალვა? არა, ახალი იდეა რომ გაგიჩნდებათ, ამაში ეჭვი არ გვეპარება, ჩვენ სხვა რამ გვაწუხებს: უხერხულ სიტუაციაში (რბილად და პირობითად რომ ვთქვათ) ჩავარდნილ წმინდა სინოდს რა პასუხს გასცემთ?

და კიდევ: თუ ამ საკითხს სუფთა პოლიტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ცესკო-ს თავმჯდომარე სულაც არ უნდა წყვეტდეს არჩევნების ბედს. მთავარია, საარჩევნო უბნებზე არ გაყალბდეს ხმები. თუ სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ გვინდა (და ახალ-ახალი იდეების პრეზენტაციაში გაგვყავს დრო), მით უფრო, რატომ უნდა შევაწუხოთ წმინდა სინოდი?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, "24 საათმა" კომენტარი სთხოვა საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანს გიორგი ანდრიაძეს. გაგაცნობთ მის თვალსაზრისს:

**"ჩემი მოსაზრება არ წარმოადგენს საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას, ვინაიდან მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თბილისში არ იმყოფება და ეს საკითხი მისთვის უცნობია.**

**ჩვენი ეკლესია საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფოს ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იგი დღესაც არ ამბობს უარს ქვეყნისთვის ისეთი სასიცოცხლო თემების განხილვაზე, როგორებიცაა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული იდეოლოგია და ატრიბუტიკა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები... ეკლესია, თავის მხრივ, ცდილობს, მრავალპარტიული მიმართულებით გაჯერებულ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს სულიერი ერთობა შეუნარჩუნოს. ამიტომაც აკრძალა წმინდა სინოდმა ამა თუ იმ პარტიული სიით ეკლესიის მონაწილეობა არჩევნებში.**

**რაც შეეხება ბატონი შალვა ნათელაშვილის შემოთავაზებულ იდეას – ცესკო-ს თავმჯდომარედ დასახელდეს ეკლესიის მიერ წარდგენილი პიროვნება - ჩვენთვის ეს წინადადება სრულიად მოულოდნელია. ვფიქრობ, აღნიშნული აზრი ეყრდნობა სხვადასხვა სოციოლოგიური (მათ შორის, ამერიკული) გამოკვლევების მონაცემებს, რომელთა შეჯერებამ ცხადყო, რომ ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ენდობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ბატონი შალვას აზრით, ეკლესიის კანდიდატურა ხალხის ფართო ფენებისთვის მისაღები იქნება.**

**ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეკლესია დარჩა ჩვენი ხალხის ერთადერთ გამაერთიანებელ ძალად და ყველა პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალა უნდა შეეცადოს, შეუნარჩუნოს მას ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია."**

# ნემო ბურჭულაძისათვის ლეგიტიმური უზენაესი საბჭოა

ლენა მიქაძე

ბეიკერის რეცეპტით დაკომპლექტებულ ცესკო-ში ერთი ადგილი ე.წ. ზვიადისტებზეც რომ უნდა იყოს გათვალისწინებული, პირველად სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს გაახსენდათ. გამსახურდიას მომხრეთა პოლიტიკური უფლებების დაცვაზე დღეს, მათ გარდა, მგონი ყველა ზრუნავს. გუშინ ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარე ნემო ბურჭულაძე ცესკო-სთან დაკავშირებით პარტიის გეგმებზე საუბარს გაურბოდა. ჟურნალისტებმა მას ბევრი ვერაფერი ათქმევინეს. პრესკონფერენციაზე ზოგადი პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ზედმეტი კითხვებისათვის თავის არიდების მიზნით, უბრალოდ, გაიქცა. მანამდე კი გაირკვა, რომ შევარდნაძესთან ოპოზიციის კონსულტაციების შემდეგ ბურჭულაძე, ძირითადად, ერთი გარემოების გამო იყო კმაყოფილი: **"არ დამავიწყდება შევარდნაძის სიტყვები, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, დასავლეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, არჩევნების ლეგიტიმურობა არსად უცვნია."** თავად ნემო ბურჭულაძე და მისი თანაპარტიელები ამტკიცებენ, რომ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა და არ შესჩერებია უფლებამოსილება... მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები "გალეგიტიმურებას" არ საჭიროებენ, "ეროვნული თანხმობის კავშირი" მაინც არჩევნების სამართლიანად ჩატარების მომხრეა. 11 ივლისს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აშშ-ს პრეზიდენტს წერილიც კი გაუგზავნა. წერილში გამსახურდიას მომხრეები აცხადებენ, რომ ბეიკერის მიერ შემოთავაზებული სულისკვეთების გასაზიარებლად მზად არიან, რადგან **"წარმოდგენლი პროექტი რეალურ პერსპექტივებს ქმნის ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული არჩევნების პერიოდში ჩამოყალიბებული კონსტიტუციური სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსაყვანად, რაც თავის მხრივ, შეუქცევადს გახდის სამართლებრივი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობას".**

# მკვლელობა შურისძიების მოტივით

ვასილ ბულეური

14 ივლისს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, მკვლელობა მოხდა გორის რაიონში. გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის, ბონდო ვათიაშვილის მძღოლს, 42 წლის ქართლოს მიდელაშვილს, რომელიც საკუთარი BMW-ს მარკის ავტომანქანით სოფელ ფლავისმანიდან ტყვიავისკენ მიემართებოდა, გზა გადაუჭრა ორმა პიროვნებამ და მანქანის გაჩერება მოსთხოვა. მიდელაშვილი მოძალადეებს არ დაემორჩილა, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მიდელაშვილი მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მას თან ახლდა ორი ქალი, რომელთაგან ერთ-ერთი დაიჭრა, თუმცა მისი მდგომარეობა საშიში არ არის. გამოძიება ქალების ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს.

გორის რაიონული პროკურორის რომან გვიშიანის განცხადებით, გამოძიებას მკვლელობის ორი ვერსია გააჩნია – ანგარება ან შურისძიება. გარდაცვლილის ახლობლები მკვლელობის მოტივად დაყაჩაღებას და მანქანის გატაცებას ასახელებენ, თუმცა თავდამსხმელებს არც ავტომანქანის გატაცება უცდიათ და არც რაიმე წაუღიათ. პროკურორი არ აკონკრეტებს, რის გამო უნდა ეძიათ შური თავდამსხმელებს. რაც შეეხება დაყაჩაღებას, როგორც რომან გვიშიანი ამბობს, სროლის შემდეგ ავტომანქანა გზიდან გადავარდა, მისი ამოთრევა თავდამსხმელებს გაუჭირდებოდათ და შესაძლოა, ამის გამო აიღეს ხელი განზრახვაზე.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება თავდასხმა მიდელაშვილის სამსახურებრივ საქმიანობას (როგორც უკვე ვთქვით, იგი სასამართლოს თავმჯდომარის მძღოლი იყო), პროკურორმა "24 საათს" უპასუხა: **"ამის შესახებ ვიმსჯელეთ, მაგრამ ამ ვერსიის საფუძველი არ გვაქვს. შესაძლოა, გამოძიების პროცესში სხვა ვერსიებიც გამოჩნდეს."**

# "ნაციონალები" პენსიებს მოითხოვენ

"ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილი და ლადო ჭიპაშვილი გუშინ დილით იუსტიციის სამინისტროს ეწვივნენ და მინისტრ როლანდ გილიგაშვილს მათ მიერ მოგებული სასამართლოების განჩინების აღუსრულებლობისთვის მოსთხოვეს პასუხი. გაყინული პენსიების დაბრუნების მოტივით მათ სასამართლოები მოიგეს კასპში, საგარეჯოში, გურჯაანში, რუსთავში, ბაღდათში, ცაგერში, ამბროლაურში, ქუთაისსა და სამტრედიაში. ამ რაიონებში მცხოვრები 9806 პენსიონერისთვის სახელმწიფოს მილიონ 207 ათას 344 ლარი აქვს გადასახდელი. აქედან სააღმსრულებლო განკარგულება უკვე ორ ქალაქში – სამტრედიასა და ქუთაისშია გაცემული. "ნაციონალების" განცხადებით, სააღმსრულებლო ფურცელს 10 ივლისს ამოეწურა ვადა, მისი აღსრულება კი საეჭვოდ ჭიანურდება. ამ ფონზე წარმოქმნილი კითხვების საპასუხოდ როლანდ გილიგაშვილი იძულებული გახდა, ტრადიციული თათბირი ერთი საათით შეეჩერებინა, თუმცა, პარტიის წევრთა სამინისტროში შეჭრა სკანდალის გარეშე დასრულდა: მინისტრი მათ შეჰპირდა, რომ პრობლემას ორ დღეში მოაგვარებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ორშაბათს ცხინვალში ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეხვედრა გაიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ე.წ. "ბეიკერისეული" გეგმა განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში დღეს გაერო-ს ეგიდით ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართება. მხარეები კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას შეეცდებიან და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყნებს გარანტად გამოსვლას შესთავაზებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატებმა" გუშინ ნაძალადევში რაიონული ორგანიზაცია დააფუძნეს და პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად კახა ლაბუჩიძე აირჩიეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გუშინ ბუნდესვერის დელეგაციას სტუმრობდა. ბუნდესვერის მთავარი შტაბის მე-5 საშტაბო სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი ენგელჰარტი და პოლკოვნიკი ამონი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებს ეცნობიან და საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შიმშილობის აქციის მონაწილე დევნილებს მეორედ შეხვდა და მათ ოთხშაბათისათვის დაგეგმილ საგანგებო სესიაზე აფხაზეთის საკითხის პირველ რიგში განხილვას დაჰპირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია "პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელის ვლაქერნას დადებას" აღნიშნავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ატენის სიონში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. სარემონტო სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 6000 ლარი, თუმცა, ეს თანხა საკმარისი არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რეკლამის მოსაკრებელი თბილისში, წინა თვესთან შედარებით, 25 პროცენტით გაიზრდება. გაძვირდება არა მარტო რეკლამის განთავსება, არამედ მოსაკრებელიც განთავსების დარღვევის გამო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, გუშინ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ სამეგრელოს რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ბანკ ქართუ"-ს შენობის წინ გუშინ თავის დაწვა სცადა მოქალაქე გულიკო ერისთავმა, რომელიც ბანკს 300 ათასი დოლარის ანაზღაურებას სთხოვს. ბანკში მის მოთხოვნას შანტაჟად აფასებენ. **ინტერ-პრესი**

## დარჩენილ სამ მილიონს ერთ თვეში მიიღებენ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 51 პროცენტის მფლობელი ავსტრიული კომპანია გახდა, თუმცა შენაძენის თანხა სრულად ჯერ არა აქვს გადახდილი. როგორც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ორგანიზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი თოდუამ განაცხადა, ამ თანხის ნახევარი – 3 მილიონ 50 ათასი ამერიკული დოლარი ავსტრიელებმა უკვე გადმორიცხეს, ხოლო დანარჩენს მხოლოდ მას შემდეგ გადმორიცხავენ, რაც სამინისტრო და ავსტრიული კომპანია ხელშეკრულებას გააფორმებენ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელიც, სავარაუდოდ, ერთ თვეში დასრულდება. დარჩენილ თანხასაც სწორედ ამ დროისათვის ელოდებიან.

*ექსპრესი*

— გამოხმაურება —

## საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს პრესსამსახურის განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის საბჭოს და სენატის ერთობლივ სხდომაზე გაკეთდა განცხადება ცენტრალური ხელისუფლების, კერძოდ კი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ ბათუმის პორტისაკენ მიმავალი ტვირთების დაბლოკვის თაობაზე.

საქმე ეხება მიმდინარე წლის 24-25 ივნისს კიევში გამართულ სამუშაო შეხვედრას უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წარმომადგენლებს შორის ვარნა-ილიჩევსკი-ფოთი/ბათუმის საბორნე გადასასვლელის ექსპლუატაციის საკითხებზე.

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ფოთის პორტში არსებულ ტარიფებში წარმოქმნილი საკამათო საკითხების დარეგულირება და მხოლოდ ფოთი-ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელის ექსპლუატაციისა და ფოთის პორტის სანავიგაციო უსაფრთხოების საკითხის განხილვა.

სამუშაო შეხვედრისას, ბათუმის პორტთან დაკავშირებული საკითხები საერთოდ არ წარმოადგენდა მოლაპარაკებების საგანს და, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ოქმში დაფიქსირებული ნებისმიერი აზრი სამინისტროს მიერ ფასდება, როგორც უფლებამოსილების გადამეტება. მით უმეტეს, რომ ეს აზრი არა თუ არ შეესაბამება ჭეშმარიტ რეალობას, არამედ ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას აღნიშნული საკითხის მიმართ.

სამინისტროს პრინციპული დამოკიდებულების თაობაზე მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ნიჟარაძემ უკვე გაუგზავნა წერილი უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროს გენერალურ მდივანს ალექსანდრ დემიდენკოს მოთხოვნით, რათა მოლაპარაკებების ოქმიდან ამოღებულ იქნას ის მოსაზრება, რომელიც არ წარმოადგენს ქართული მხარის (ამ შემთხვევაში - სამინისტროს) ოფიციალურ პოზიციას.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ გაცემულია ბრძანება ამ საკითხის თაობაზე სამსახურებრივი მოკვლევის დაწყების შესახებ, და იმ პირების მიმართ, ვინც თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა, მიღებული იქნება შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, როგორც დარგებში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო, ოფიციალურად აცხადებს, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია მსგავსი პოლიტიკის გატარება ნებისმიერი საწარმოს მიმართ, ვინაიდან ეს ვნებს სახელმწიფო ინტერესებს, მის საერთაშორისო რეპუტაციას.

ბათუმისა და ფოთის პორტები ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზღვაო კარიბჭეა და მათი ინტერესების დაცვა ნებისმიერ დონეზე, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უპირველესი მოვალეობა იყო, არის და იქნება ყოველთვის.


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
## სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 7-11 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**
**12 475.9 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 625.7 ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 567.3 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 58.4 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 9 159.0 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება - 6 002.4 ათასი ლარი;**
■ საქართველოს პარლამენტი - 1 260.5 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო კანცელარია - 260.0 ათასი ლარი;
■ საერთო სასამართლოები - 495.5 ათასი ლარი;
■ უზენაესი სასამართლო - 172.6 ათასი ლარი;
■ საკონსტიტუციო სასამართლო - 133.8 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო დაცვის სამსახური - 466.7 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 645.0 ათასი ლარი;
■ მეცნიერებათა აკადემია - 991.0 ათასი ლარი;
■ სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები - 207.3 ათასი ლარი;
■ უმაღლესი სასწავლებლები - 1 370.0 ათასი ლარი;
**საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის კვების ხარჯები - 278.5 ათასი ლარი;**
■ სკოლა-ინტერნატები და ბავშვთა სახლები - 261.8 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 16.7 ათასი ლარი;
**ტრანსფერი მარგვეთის ეპარქიის ზესტაფონის წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრს - 33.9 ათასი ლარი;**
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 578.4 ათასი ლარი;**
**განათლების სამინისტროს პროგრამები - 25.5 ათასი ლარი;**
**ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები - 10.0 ათასი ლარი;**
**კულტურის სამინისტოს პროგრამები - 39.4 აღასი ლარი;**
**ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს - 2 000.0 ათასი ლარი:**
■ საპენსიო ტრანსფერი - 735.0 ათასი ლარი;
■ რეგრესული პენსიები - 65.0 ათასი ლარი;
■ უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება - 1 200.0 ათასი ლარი;
**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 108.1 ათასი ლარი;**
■ უშიშროების საბჭო (მივლინება) - 18.6 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (მივლინება) - 10.5 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (მივლინება-სამების ტაძარი) - 9.0 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტროს (პროგრამული ხარჯი - ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის "ხელოვნების ზეიმი"-ს მოსაწყობად) - 70.0 ათასი ლარი;
**პრეზიდენტის ფონდი - 82.8 ათასი ლარი;**
■ მეცნიერებათა აკადემია (ე. მეტრეველის ოჯახის დახმარება) - 3.0 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი (კომპიუტერული ბაზის შექმნისათვის) - 20.0 ათასი ლარი;
■ თავდაცვის სამინისტრო ("წიგნი უკდავების" მე-2 ნაწილის გამოსაცემად) - 10.0 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო (ნ. მჭედლიძის დახმარება) - 2.0 ათასი ლარი;
■ ჯანდაცვის სამინისტრო (ზ. გოგობერიშვილის დახმარება) - 5.5 ათასი ლარი;
■ პრემიების კომიტეტი (შ. რუსთაველის სახელმწიფო ეროვნული პრემიის დაფინანსებსა) - 39.3 ათასი ლარი;
■ მწერალთა კავშირი (ქ. ჭილაშვილის დახმარება) - 3.0 ათასი ლარი;
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 2 691.2 ათასი ლარი;**
**"სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 102.8 ათასი ლარი:**
■ საქართველოს პარლამენტი (ავტობაზის შრომის ანაზღაურება) - 35.0 ათასი ლარი;
■ უშიშროების საბჭო - 5.0 ათასი ლარი;
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 51.0 ათასი ლარი;
■ კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი - 6.1 ათასი ლარი;
■ ფიზიკის ინსტიტუტი (დაცვის ხარჯები) - 5.7 ათასი ლარი;
**საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 15.7 ათასი ლარი;**
■ საქართველოს პარლამენტი - 15.0 ათასი ლარი;
■ კულტურის სამინისტრო - 0.7 ათასი ლარი;
**საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირებისათვის გადარიცხული იქნა 2 572.7 ათასი ლარი, მათ შორის "ელექტროენერგეტიკული სექტორის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 12.02.03. N127 განკარგულების თანახმად გადაირიცხა 2 150.0 ათასი ლარი.**

**სულ ხარჯი: 12 175.9 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 625.7 ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 567.3 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 58.4 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 9 159.0 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 2 691.2 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 102.8 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 15.7 ათასი ლარი;**
■ **სუბსიდია - 2 572.7 ათასი ლარი;**

*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## სოხუმი თბილისში ნატო-ს თვითმფრინავის გამოჩენას აპროტესტებს

სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ ნატო-ს მზვერავმა თვითმფრინავმა "ავაქსმა", რომელმაც გასულ კვირას თბილისის თავზე სადემონსტრაციო ფრენები შეასრულა, "აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონებში არსებული სიტუაცია შეისწავლა".

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში მან თქვა, რომ "ამ მხრივ აფხაზურ მხარეს სარწმუნო მონაცემები გააჩნია".

მინისტრის ინფორმაციით, ამ საკითხის გამოტანა სოხუმში 15 ივლისს დანიშნულ შეხვედრაზე იგეგმება, რომელზეც მხარეები კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზომების საკითხებს განიხილავენ.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თქმით, სინამდვილეს არ შეესაბამება რუსეთის მასმედიით გავრცელებული ინფორმაციები, რომლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიების გამოყენებით ნატო-სა და ამერიკის თვითმფრინავები რუსეთის ტერიტორიების დაზვერვას ეწევიან.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, "სრული აბსურდია" რუსეთის ტერიტორიების დაზვერვაში საქართველოს დადანაშაულება.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა გორში მცხოვრები 46 წლის მანანა ჩოჩიშვილი, რომლის სახლიდანაც ამოიღეს 0.25 გრ ჰეროინი, არარეგისტრირებული სანადირო თოფი და მცირეკალიბრიანი შაშხანის 23 ვაზნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გაძარცვის ბრალდებით, 24 წლის მიხეილ ზუკაკიშვილი დააკავეს. ძარცვა 13 ივლისს, საღამოს მოხდა. წაღებული ნივთების ნუსხას ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახური ადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, თამარ მეფის №7-ში 55 წლის ვლადიმირ სმირნოვის გვამი აღმოაჩინეს. სმირნოვს სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურამ აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთაში საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა მოქალაქე ტრისტან გოგოლაძე ამხილეს. მას 560 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი გადაჰქონდა. ტრისტან გოგოლაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ რკინიგზის სადგურ "რიონის" მიმდებარე ტერიტორიაზე 3 560 კილოგრამი ველურად მზარდი კანაფი გაანადგურა. კანაფის განადგურება სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ღონისძიება "კანაფი - 2003"-ის ფარგლებში მოხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციაში, შსს-ს ძებნის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სხვადასხვა დანაშაულებებისათვის ძებნილი ორი პირი დააკავეს. ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანში, ქურდობისათვის ხაშურის პოლიციის მიერ ძებნილი 48 წლის ჯემალ გობოზაშვილია დაკავებული, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქალაქ ეკატერინბურგში იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი 31 წლის ავთანდილ დევრიშიძე დააკავეს, რომელიც ქობულეთის პოლიციის მიერ იძებნებოდა. მზადდება მასალები დაკავებულების საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შენახვისათვის პოლიციამ, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში, რამდენჯერმე ნასამართლევი 40 წლის ბადრი მამატარაშვილი დააკავა. დაკავებულისაგან სამართალდამცავებმა ამოიღეს ხელყუმბარა "ეფ-1" დეტონატორით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე კახა კახიშვილი სახალხო დამცველის მოადგილედ დაინიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრს მთავრობის გადაყენება არ მოჰყვება, მათ შორის - არც ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილის. ამის შესახებ ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ განაცხადა, რომ საქართველოში ყველაზე მაღალია კონტრაბანდის დონე ასანთების და სანთებელების იმპორტში. ასანთის 90,4 პროცენტი და სანთებელის 86,8 პროცენტი აღურიცხავი რჩება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2003 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის გეგმა არ შესრულდა. შემოსავლების ნაწილში იგი 87,6 მილიონი ლარით გაირღვა, - განაცხადა გუშინ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინფორმაციით, სს „აზოტს" ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდების გამო 700 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მატერიალური ზარალი მიადგა. **მედია-ნიუსი**

# კითხვა, რომელზეც პასუხი არ ჩანს

### როგორ და რამდენზე უნდა გავყოთ ციფრი "ცხრა" რომ ყველას ესიამოვნოს?

თამარ ასათიანი

*შეიცვლება თუ არა დღეს მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა? რაც დრო გადის, ეს კითხვა უფრო რიტორიკული ხდება. პროგნოზი, ამ მხრივ, აშკარად პესიმისტურია. ბეიკერის ვიზიტის შემდგომ წარმოქმნილი ეიფორია გადის და ყველა ხედავს, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთი ნაბიჯითაც კი არ წაწეულა წინ.*



*ცესკო-ში ოპოზიციის კვოტის ნახევარს ესენიც ითხოვენ.*

პარლამენტში დღე ისე არ გადის, რომ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მორიგი შეხვედრა არ გამართოს, მაგრამ რა შედეგს მოიტანს ეს კონსულტაციები, ცნობილი არ არის. თუმცა, ის კი ნათელია, რომ "აღორძინება" უკან დახევას არ აპირებს და ცხრიდან უკვე ოთხ ადგილს თავისთვის ითხოვს.

გუშინდელი კონსულტაციების შედეგად მორიგი ახალი მოდელი "იშვა". ამჯერად მისი ინიციატორები "მრეწველები" იყვნენ. როგორც გაირკვა, მათი ხედვით, ოპოზიციისთვის კუთვნილი ცხრა ადგილი იმ პარტიებმა უნდა გადაინაწილონ, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, საუკეთესო შედეგები აჩვენეს. თუმცა, რამდენი მანდატიდან დაიწყება ათვლა, ჯერ ცნობილი არ არის (შეგახსენებთ, რომ თბილისის გარდა, გასული საკრებულოს არჩევნები მაჟორიტარული წესით გაიმართა. ასე რომ, საარჩევნო ბარიერის საკითხი მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში იყო აქტუალური. სხვაგან ერთმანეთს მანდატებისთვის პარტიების კანდიდატები ეჯიბრებოდნენ. ახლა კი პარლამენტში იმაზე უნდა შეთანხმდნენ, თუ პარტიების მიერ საკრებულოების არჩევნებში მოპოვებული რამდენი მანდატი ნიშნავს "წარმატებულ შედეგს").

პარლამენტში კონსულტაციები დღეს გაგრძელდება. ამასობაში კი ახალ-ახალი ინიციატივებით არასაპარლამენტო პარტიებიც გამოდიან. თუკი შალვა ნათელაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურაში წმინდა სინოდის ჩართვას ითხოვს, სხვა პარტიები ცესკო-ში არსებული ვაკანსიების დასაკავებლად ემზადებიან.

გუშინ ცესკო-ს წევრთა სავარძლებზე პრეტენზიები ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, "ქართველ ნაციონალისტთა ერთობისა" და "სახალხო ფრონტის" წარმომადგენლებმა გამოთქვეს. მოტივი საკმაოდ მარტივია: გაიოზ მამალაძის მტკიცებით, ისინი ჭეშმარიტად ოპოზიციური პარტიებია, რომლებიც ეროვნული მოძრაობიდან მოდიან და რომლებიც, განსხვავებით "ფსევდოოპოზიციისაგან" (იგულისხმეთ "ნაციონალური მოძრაობა", "ახლები" და "გაერთიანებული დემოკრატები"), ნამდვილად სამართლიანი არჩევნების გასამართად იბრძვიან. ირაკლი წერეთელი კი უკვე კონკრეტულ ციფრზე საუბრობს: როგორც ირკვევა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოპოზიციისათვის კუთვნილი ცხრა ადგილიდან - ოთხი ამ სამ პარტიას და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პოლიტიკურ ორგანიზაციას უნდა ერგოს.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ეროვნული მოძრაობის პარტიების სახელით, მათი ლიდერები უახლოეს დღეებში ამერიკის მთავრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და ეუთო-ს ოფიციალური წერილით მიმართავენ, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავენ, და არც იმის თქმას დაივიწყებენ, თუ როგორ იდევნებიან ისინი **"კორუფციაში ყელამდე ჩაფლული ფსევდოოპოზიციონერების მიერ"**.

საგულისხმოა, რომ ცესკო-ში სავარძლის მოპოვება "სახალხოელებსაც" სურთ. გუშინ ასეთი განცხადება პარტიის ლიდერმა მამუკა გიორგაძემ გააკეთა.

ასე რომ, პარლამენტში და პარლამენტს გარეთ არსებული საერთო ფონის გათვალისწინებით, ძალზე საეჭვოა, ბეიკერის მოდელის ამოქმედებას საშველი დაადგეს. ამ ვარიანტის ჩავარდნა კი საერთაშორისო საზოგადოების თვალში სწორედ ოპოზიციას დაბრალდება, ხოლო სახელისუფლებო ძალები და თავად საქართველოს პრეზიდენტი კი ყველაფერს იღონებენ, რათა ეს ბრალდებები კონკრეტული არგუმენტებითა და მაგალითებით გაამყარონ.

# "გსეკ"-მა იმერეთი ჩააბნელა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად გადახდის დაბალი მაჩვენებლისა (დაახლოებით, 50%), ქუთაისში შუქის შეწყვეტას არავინ ელოდა. საქმე იმაშია, რომ ენერგოკომპანიის ქუთაისის ფილიალმა გადახდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა. მაგალითისათვის, გასულ თვეში მოსახლეობა დახარჯული ელექტროენერგიის მხოლოდ 10%-ს იხდიდა, აღნიშნული მაჩვენებელი კი დღეს 50%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მხარის ხელმძღვანელობამ უშიშროებასა და პოლიციას "ქელასის" შემოწმებისაკენ მოუწოდა. შაშიაშვილის დაეჭვება იმან გამოიწია, რომ თანხა მრიცხველის უგულებელყოფით ხელზე იკრიბება და თითოეულ ოჯახზე, მინიმუმ, 10 ლარს შეადგენს, რაც თავისთავად კანონდარღვევაა. დაუდგენელია ასევე, მოსახლეობიდან აკრეფილი ფული ენერგობაზრამდე სრულად აღწევს თუ არა. იმერეთის ჩაბნელების წინააღმდეგ რწმუნებულს სხვა არგუმენტებიც გააჩნია, კერძოდ, სამიოდე კვირის წინ ქუთაისის სასამართლოს "მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ" მიმართა და ენერგოკომპანიისგან გადამხდელი მოსახლეობისთვის დენის მიწოდების დავალდებულება მოითხოვა. სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი აღსრულებისათვის თბილისის სააღსრულებო ბიუროს გადაუგზავნა. მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილებისა, ქუთაისს დენი მაინც გაუთიშეს. აღნიშნული მოტივით მხარეში ვითარება უკვე მეორედ იძაბება. ხვალიდან ქალაქში მასობრივი დემონსტრაციებია მოსალოდნელი, ადგილობრივი ხელმძღვანელობა არც მალავს, რომ აღნიშნული ნაბიჯისაკენ მოსახლეობას თავადვე მოუწოდებს.

# მთავრობა პარლამენტს ბიუჯეტის სეკვესტრის გეგმას წარუდგენს

პირველი გვერდიდან

ტრანსპორტი - 2,3 მილიონი ლარი, ტრანსფერტები რეგიონული ბიუჯეტებისათვის - 8 მილიონი ლარი, სპორტული პროგრამები – 700 ათასი ლარი, სახელმწიფო კანცელარია – 1 მილიონი ლარი, სახელმწიფო ტელერადიო კორპორაცია – 1,5 მილიონი ლარი, საგზაო ფონდის სახელმწიფო შემოსავლები – 8,5 მილიონი ლარი, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯები – 13,5 მილიონი ლარი, კაპიტალური ხარჯები – 4 მილიონი ლარი, ეროვნული ბანკის საპროცენტო მომსახურება – 7 მილიონი ლარი, ჯანდაცვის პროგრამები – 6,5 მილიონი ლარი, საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსება – 2,5 მილიონი ლარი, სხვადასხვა ორგანიზაციების პროგრამები – 2,7 მილიონი ლარი.

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ მათ ყველაზე მეტად ეკვეცებათ დაფინანსება. შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, მის სამინისტროს, სპეცსახსრების ჩათვლით, 8 მილიონი ლარი აკლდება. **"ეს ნიშნავს, რომ უწყებას ფუნქციონირებისათვის თანხები არ ექნება,"** – აცხადებს ნარჩემაშვილი. რაც შეეხება დანარჩენ ძალოვანებს, ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ხარჯები 10 მილიონით მცირდება, უშიშროების – მილიონნახევრით, ხოლო იუსტიციის სამინისტროს – 2,2 მილიონი ლარით. ძალოვანები აცხადებენ, რომ კონსულტაციებს ფინანსთა სამინისტროსთან დღესაც გააგრძელებენ.

გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე მთავრობის ყველა პირველი პირი კატეგორიულად უარყოფდა.

# ვისთან არ იქნება ნინო ბურჯანაძე

მაკა ჯაიანი

*საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭოს მიერ გუშინ თეატრალურ სარდაფში გამართულ შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სტუმრობდა. უმაღლესი სასწავლებლების სტუდკავშირებისა და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ფრთათა წარმომადგენლების გუშინდელი კითხვები ყველაზე "ცხელი" საკითხების ირგვლივ ტრიალებდა: მოახლოებული არჩევნები და საარჩევნო კოდექსი, ბიუჯეტის მოსალოდნელი სეკვესტრი და მთავრობის პასუხისმგებლობა, აფხაზეთი და ქართული ჯარის დღევანდელი მდგომარეობა, ნინო ბურჯანაძის შესაძლო თანაპარტიელები. განსხვავება ის გახლდათ, რომ, პრობლემათა სიმწვავის მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ გუშინ არავინ გამოთქვამდა პრეტენზიას.*

მეტიც, ნინო ბურჯანაძეს ახალგაზრდებმა შეუბღალავი რეპუტაციის პოლიტიკოსი უწოდეს და სიფრთხილისკენ მოუწოდეს - წინასაარჩევნო გადაჯგუფებებისას ვინმესთან კავშირით საკუთარი იმიჯი არ შელახოს. ვის გვერდით იქნება ანუ ვინ იქნება მის გვერდით 2 ნოემბრისთვის, პარლამენტის თავმჯდომარემ მაინც არ გაამხილა, თუმცა, სახელისუფლებო ბლოკში მისი დანახვის მსურველებს საბოლოოდ გაუცუდა იმედი. **"ეს რომ სამთავრობო ბლოკი არ იქნება, ფაქტია. ხელისუფლებაში მათი კვლავ მოსვლის შემთხვევაში, არათუ რაიმე შეიცვლება, პოზიტიურიც კი არაფერი მოხდება. რა თქმა უნდა, მთავრობაში კეთილსინდისიერი ადამიანებიც არიან, მაგრამ, ძირითადად, საქმე პირიქითაა. მე შოკირებული ვიყავი, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა, იმის ნაცვლად, რომ მათგან დისტანცირება მოეხდინა, განაცხადა, არჩევნებში ერთად ვიქნებითო,"** – ასეთია მისი კომენტარი.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარე მხარს დაუჭერს ბიუჯეტის სეკვესტრს. **"ეს აუცილებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დეფოლტის წინაშე აღმოჩნდება. სიმართლე გითხრათ, დიდად არ ვღელავ მთავრობის ბედზე, მაგრამ მაღელვებს ხალხის, ბანკების, ეკონომიკის ბედი საერთოდ,** - განმარტავს ბურჯანაძე, - **მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი უპირობოდ მიიღებს სეკვესტრის, მთავრობის მიერ წარმოდგენილ ვარიანტს. მთავრობას მოუწევს იმის დასაბუთება, თუ რატომ მცირდება ბიუჯეტის ეს და არა სხვა მუხლები. გარდა ამისა, პასუხგაუცემელია კითხვა, რატომ ვართ ამგვარი დეფიციტის პირობებში, როდესაც პროფიციტს გვპირდებოდნენ? სეკვესტრის დამტკიცება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მთავრობას უმტკივნეულოდ ჩაუვლის. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით სავალუტო ფონდი სერიოზულადაა შეშფოთებული."**

რევოლუციის გარეშე რევოლუციური გარდაქმნების განხორციელების მოსურნე ქვეყნის მეორე პირმა გუშინ კიდევ ერთხელ გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ ოპოზიციამ გაერთიანება ვერ შეძლო: **"მაქსიმალური გაერთიანების პირობებში, ოპოზიცია მოახერხებდა, თავისი პლუსებით საკუთარი მინუსები დაებალანსებინა, რაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა და არც იმის კონტურები ჩანს, რომ უახლოეს მომავალში მოხერხდება."** ნინო ბურჯანაძისთვის პრიორიტეტი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება იქნება, რადგან **"როცა სამშობლო გაქვს დაკარგული, არ შეიძლება, სხვა პრიორიტეტი გქონდეს."** ამ კონტექსტში პარლამენტის თავმჯდომარე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე უნებართვოდ შემოსულ მფრინავ ობიექტებს მხოლოდ "რაგატკებით" არ დაემუქრება.

ასეთი ჯარის, მინიმუმამდე შევიწროებული კორუფციის, საგადასახადო ბაზის გაფართოებისა და, შესაბამისად, ასატანი ცხოვრების დადგომის იმედი, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მოსახლეობას მხოლოდ ქვეყნის სათავეში გაუყალბებელი არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების პირობებში შეიძლება ჰქონდეს. **"ჩვენი ვალია, ეუთოს, საზოგადოების, თქვენი – ახალგაზრდების საშუალებით, გადავფაროთ ყველა საარჩევნო უბანი, მოვახერხოთ მაქსიმალურად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება,** - თანამშრომლობისკენ მოუწოდა პარლამენტის თავმჯდომარემ აუდიტორიას, - **ხალხს კიდევ სჯერა, რომ სიტუაციის გამოსწორება შეიძლება და ეს იმედი არ უნდა გავუცრუოთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი. ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მამაკაცი, თუნდაც 70 წლისა, 14-ლარიანი პენსიის მიუღებლობის გამო, ცრემლით არ უნდა ტიროდეს."**

# პარლამენტის თავმჯდომარე კონტრშეტევას ამზადებს

პირველი გვერდიდან

როდესაც მთავრობა ბიუჯეტის შეუსრულებლობაში პარლამენტის ბრალეულობაზე საუბრობს, ძირითადად, ის გარემოება აქვს მხედველობაში, რომ საკანონმდებლო ორგანომ საგადასახადო შეღავათების დაწესებით, საგადასახადო ბაზა შეამცირა. თუმცა, ეს არგუმენტი ბურჯანაძეზე ვერ ჭრის. პირიქით, იგი ამაყობს კიდეც იმით, რომ ფინანსთა სამინისტროს დიდი წინააღმდეგობის მიუხედავდ, რიგი ობიექტები (მაგალითად, ჯანდაცვის) პარლამენტმა სამეწარმეო გადასახადისგან გაათავისუფლა.

**"როდესაც გადასახადების ამოღება თუნდაც 80 პროცენტს მიუახლოვდება და ბიუჯეტი მაინც ვერ შესრულდება, ალბათ, მხოლოდ მაშინ თუ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, მიზანშეწონილია თუ არა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია. ახლა კი, როდესაც ძირითად სფეროებში გადასახადების ამოღების მაჩვენებელი 20-25 პროცენტს არ აღემატება, ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, თითქოს, ბიუჯეტის შეუსრულებლობა პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო შეღავათების ბრალია. ამას ნამდვილად არ დაუნგრევია ბიუჯეტი"**, - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ გუშინ, მისივე ინიციატივით მეწარმეებთან გამართულ შეხვედრაზე.

მცირე ბიზნესის წარმომადგენლები დღეს პარლამენტის სპიკერის ბუნებრივი მოკავშირეები არიან: მათივე შეფასებით "დრაკონულმა" და "კაბალურმა" საგადასახადო კოდექსმა ისინი მთავრობის ოპონენტებად აქცია. გუშინდელი შეხვედრის დროს მეწარმეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ხელისუფლების ეკონომიკურ-ფისკალური პოლიტიკა.

**"ყველაფერი იმისკენ არის მიმართული, რომ მეწარმე არგადამხდელი იყოს და სახელისუფლებო სტრუქტურებთან შევიდეს გარიგებაში. არადა, მეწარმემ უნდა ისუნთქოს, თუ ის გადასახადებით მოვგუდეთ, მაშინ სახელმწიფოც დაიხრჩობა"**, - აცხადებდნენ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები.

"გადასახადებით მოგუდვა" მათ ტყუილად არ უხსენებიათ: საგადასახადო ცვლილებები, რომელსაც მთავრობა პარლამენტს რიგგარეშე სესიაზე შესთავაზებს დასამტკიცებლად, ისედაც "მკაცრ" საგადასახადო სისტემას კიდევ უფრო დაამძიმებს.

ასეთ ვითარებაში, პარლამენტის თავმჯდომარე მეწარმეებს ჰპირდება, რომ მათ თავს ხელისუფლებას არ დააჩაგვრინებს და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს ბოლომდე დაიცავს.

რიგგარეშე სესიაზე ნინო ბურჯანაძის კრიტიკის ობიექტი, საგადასახადო კოდექსთან ერთად, ალბათ, ბიუჯეტის 6 თვის შედეგებიც იქნება. პარლამენტის თავმჯდომარეს ყველაფერზე მეტად ის გარემოება აღიზიანებს, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური კანონი არ სრულდება, მაგრამ ამისთვის პასუხი არავის მოეთხოვება.

**"არაერთხელ მირჩევია და მითხოვია საქართველოს პრეზიდენტისთვის, რომ ბიუჯეტის ჩაგდებას შესაბამისი ზომები მოჰყოლოდა და კანონის შეუსრულებლობისთვის ვინმე დასჯილიყო, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა"**, - უკმაყოფილებას ვერ ფარავს ბურჯანაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ **"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე სამართლიანად მოიქცა, როდესაც ბიუჯეტის შეუსრულებლობისთვის მთავრობა გადააყენა"**.

მეწარმეებთან გუშინდელი შეხვედრის დროს პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანო თავის თავზე ვერ აიღებს პასუხისმგებლობას.

**"იმ ადამიანებს, რომლებმაც ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროში წერილის დროულად გაგზავნა ვერ მოახერხეს, რომ იქიდან გრანტი მიგვეღო, არა აქვთ მორალური უფლება, პარლამენტისკენ ხელი გამოიშვირონ და ბიუჯეტის შეუსრულებლობაში საკანონმდებლო ორგანო დაადანაშაულონ"**, - მიიჩნევს საკანონმდებლო ორგანოს ლიდერი.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

ჩვენი მისია:
ჩვენს მისიას წარმოადგენს მეწარმეებისა და ბიზნესმენებისათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურებისა და მიზნობრივი საბანკო პროდუქტების მთელი ქვეყნის მასშტაბით შეთავაზებით საკრედიტო და სხვა საბანკო მომსახურების მიმწოდებელი ლიდერი ბანკის პოზიციების დამკვიდრება. ვუზრუნველყოფთ რა ბიზნესს ზრდისათვის აუცილებელი სახსრებით, ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. მოსახლეობას ჩვენ ვთავაზობთ ხელსაყრელ საბანკო მომსახურებას ოპტიმალური პირობებით.

ჩვენ გთავაზობთ:
-სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის
-მიმდინარე ანგარიშებს
-ვადიან დეპოზიტებს, ზრდად ვადიან ანგარიშებს, შემნახველ ანგარიშებს
-ფულად გადარიცხვებს
-ვაჭრობის დაფინანსებასა და დოკუმენტურ ოპერაციებს
-სავალუტო ოპერაციებს
-ონლაინ ბანკინგს




ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: central@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
ბარნოვის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
Email: vake@mbg.com.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
Email: saburtalo@mbg.com.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
ვაგზლის მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: stationsquare@mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
[illegible] ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
Email: gldani@mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
Email: varketili@mbg.com.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58
Email: gori@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
Email: kutaisi@mbg.com.ge

[illegible] განყოფილება
0115 თბილისი
[illegible] 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
Email: ilo@mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
[illegible] ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
Email: marneuli@mbg.com.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
[illegible] ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
[illegible] ქ. 18
ტელ: (995 88 222) 7-24-20
ფაქსი: (995 88 222) 7-19-54
Email: batumi@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
[illegible] ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4 33-46-58
Email: poti@mbg.com.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
[illegible] ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-45-74
Email: zugdidi@mbg.com.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 88 222) 7-74-19
ფაქსი: (995 88 222) 7-74-19
Email: batumioutlet@mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
[illegible] ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
Email: kobuleti@mbg.com.ge

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

## ჩემს შესახებ

### სანდრო ტბელიშვილი

მე, ალექსანდრე თეიმურაზის ძე ტბელიშვილი დავიბადე 1988 წლის 30 მარტს. მყავს მშობლები და ძმა.

მამა მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსის მოადგილედ. დედა, ქეთევან წიკლაური ოპერატიული პროგნოზების სამსახურის ჰიდროპროგნოზების განყოფილების უფროსია.

მე თბილისის მე-18 სკოლა-ლიცეუმში ვსწავლობ, გადავედი მეცხრე კლასში. პარალელურად ვსწავლობ თბილისის კონსერვატორიის ექსპერიმენტალურ მუსიკალურ სასწავლებელში.

ძალიან მომწონს ახალი საგანი "კანონიერების კულტურა", სადაც ჩვენ გვასწავლიან, თუ რა არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება და როგორ უნდა აღიკვეთოს დანაშაულებები. ამ ყველაფერს ხალხი უნდა წარუძღვეს და აჩვენოს მთავრობას რა უნდა გააკეთოს.

ჩემი აზრით, ეს საგანი ყველა ახალგაზრდამ უნდა ისწავლოს, რომ თავისი ცოდნით და ენერგიით წინ აღუდგეს ყველაფერს უკანონოს, რადგან მცოდნე ადამიანზე ძლიერი არავინაა.

მე მინდა ვისწავლო და სიცოცხლის ბოლომდე ვემსახურო ჩემს ქვეყანას და გამოვადგე.

მე იმედი მაქვს, რომ საქართველო აღორძინდება.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო და ყველაფერს გავაკეთებ ჩემი საქართველოსთვის.

**ძალიან კარგი იქნება, თუ ამგვარად - "ჩემს შესახებ", მთავრობის წევრები გაგვეცნობიან.**

**პატივისცემით, თქვენი სანდრო ტბელიშვილი.**



## ხალხს არაფერი რჩება

### მაია ქორქოლიანი

მე-18 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

ჩემი აზრით, დღეს საქართველოში უამრავი პრობლემაა. ყველაფერი ეს არის მთავრობის უკონტროლობის ბრალი. მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, რომ არის უამრავი უსახლკარო, მათხოვარი, შიმშილობა, ძალიან დაბალი პენსიები, ხელფასები. არის ქურდობა , ნარკომანია, ყაჩაღობა, რასაც იწვევს ადამიანების ცუდი მდგომარეობა. ქვეყანაში არის ეკონომიკური კრიზისი, გამეფებულია კორუფცია. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა არის მთავრობა და აქედან ჩნდება ყველა სხვა. რატომ გახდები ქურდი, თუ თავის რჩენის საშუალება გაქვს, რატომ გახდები ნარკომანი, თუ გადაუჭრელი პრობლემები არ გაქვს. ამისი თავი და თავი კი მთავრობაა, რომელიც ხალხს უყურადღებოდ ტოვებს და თვითმკვლელობამდე მიჰყავს. უამრავი ადამიანი ფსიქიურად იშლება. ქუჩებში არ არის კონტროლი, პოლიციაც კი შეკრულია ქურდებთან. განა შეიძლება ასეთ ქვეყანაში ადამიანმა იცხოვროს. მთელ ფულს მთავრობა ჯიბეში იდებს და ხალხს არაფერი რჩება. მდგომარეობის გამოსწორებას დიდი დრო და შრომა დასჭირდება. ამნაირმა ყოფამ გადააგვარა ადამიანები და დახმარებაა საჭირო სწორ გზაზე დასადგომად, სიმტკიცეა საჭირო.

## უსახლკაროები დავაბინაოთ, შეყვარებულებს ბაღი გავუშენოთ

### თამუნა კაპანაძე

თავისუფალი ვალდორფის სკოლა

ძალიან მინდა, რომ თბილისის ქუჩებში გავლა ხალხს სიამოვნებდეს. ზოგიერთ ადგილზე მართლა კარგი სიტუაციაა, მაგრამ უმეტესად ამას ვერ ვიტყვი. მინდა, რომ გარემო სასიამოვნო და სუფთა იყოს. კარგი იქნებოდა, რომ იყოს ერთნაირი სამარშრუტო ტაქსები, რომლებიც იქნებოდა სუფთა და მყუდრო.

ჩემი აზრით, არავის მოსწონს, როცა ქუჩაში მიდის და მაწანწალა ბავშვები ახვევია გარშემო, ხელს უშვერენ და ფულს ითხოვენ. ხომ შეიძლება მაწანწალებს და მათხოვრებს მივუჩინოთ ადგილი, სადაც იცხოვრებენ და არც თავს დაიმცირებენ და არც ხალხს შეაწუხებენ.

ძალიან ბევრ სკოლაში არის უწესრიგობა, მასწავლებლები სკოლაში არ დადიან, ბავშვები არ სწავლობენ. ხომ შეიძლება სკოლების წესრიგში მოყვანა. მაგალითად, სკოლები გარემონტდეს, იყოს გათბობა, რომ მოსწავლესაც და მასწავლებელსაც სიამოვნებდეს იქ მისვლა.

მე პირადად ძალიან მიჭირს სიბნელეში გზის გაკვლევა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქუჩაში არ არის ლამპიონები, რომლებიც ქუჩებს გაანათებენ სიბნელეში.

დიდ უსამართლობად მივიჩნევ იმ გარემოებას, რომ ხალხის თხოვნა რჩება უპასუხოდ. მოვიყვან ერთ მაგალითს. ტელევიზორში ხშირად აჩვენებენ ხალხს, რომლებიც შეწუხებულები არიან იმით, რომ მათი სახლი ჩამოინგრა და ისინი უსახლკაროდ დარჩნენ. ხომ შეიძლება, რომ მათ დახმარება აღმოვუჩინოთ, ისინი დავაბინაოთ და მათი სახლი გავამაგროთ.

ქუჩაში მივდივარ და ვხედავ გალეშილ კაცს ასფალტზე გაშოტილს, ან შუა ქუჩაში მარშრუტკის მძღოლები ჩხუბობენ , მგზავრები კი სხედან მარშრუტკაში და ელოდებიან, როდის დამთავრდება ორთაბრძოლა.

რას აკეთებს ადგილობრივი პოლიცია? მინდა და საჭიროა, რომ პოლიცია უფრო ფხიზლად იყოს ასეთ შემთხვევებში.

კარგი იქნებოდა, რომ შეყვარებულთათვის იყოს სპეციალური ბაღი. კი, შეიძლება, რომ ვაკის პარკში ისეირნონ, ან სხვადასხვა სკვერებში, მაგრამ არც ნორმალური სკვერი გვაქვს და ის ვაკის პარკიც არ არის ნორმალური პარკი და გარდა ამისა, უხერხულიც კია, რომ პატარა ბავშვმა დაინახოს მოსიყვარულე წყვილი. ამიტომაც საჭიროა სპეციალური ბაღი, აბა, სიყვარულს ხომ არ აუკრძალავენ ახალგაზრდებს!

## სამართალმა პური ჭამა?

### ლევან არჭევანიძე

მე-18 სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

ადრე, საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის დროს დაიჭირეს მოქალაქე გურამ აბსანძე. წლების მანძილზე მიმდინარეობდა სასამართლო. 13 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება: ეჭვმიტანილი გაამართლეს და გაათავისუფლეს. დღევანდელი სასამართლო ამ კანონით მოქმედებს: სამართალმა პური ჭამა?

ჩემი აზრით, სამართლებრივი დანაშაულია, რაც ზიანს აყენებს ხალხს. მაგალითად, მაღალჩინოსნების გამდიდრება ხალხის პენსიებისა და ხელფასების ხარჯზე. ამას ჰქვია სამართლის დარღვევა, ხოლო რაც შეეხება დანაშაულს, არასწორ მოქმედებას, იგი ყოველდღიურად ხდება. მაგალითად, გაკვეთილის დროს სკოლის დერეფანში მოხმაურე ბავშვიც დანაშაულს ჩადის.

მე ვიცი, რომ 2001 წლის შემოდგომაზე ერთ კაცს ურეკავდნენ და ფულს მოითხოვდნენ და თუ არ მისცემდა, ოჯახს ამოუჟლეტდნენ. შეშინებულმა მამაკაცმა შეატყობინა და პოლიციამ მას უსაფრთხოების გარანტია მისცა. შემდეგ პოლიციამ თანხის მომთხოვნიც აღმოაჩინა და დაიჭირა. ამ შემთხვევის შედეგად მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ მას გაუჩნდა დიდი შიში. მე რომ ამ კაცის ადგილზე ვყოფილიყავი, მეც შემეშინდებოდა.

## სიყვარული კორუფციასაც დაამარცხებს

### ლიკა ბენდიანიშვილი

71-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ჩვენი ცხოვრება უილბლო და უინტერესოა იმიტომ, რომ ხალხმა დაკარგა ერთმანეთის შეგრძნება და ამის გამო მათთვის არაფერს ნიშნავს ერთმანეთის შეურაცხყოფა და გულისტკენა. ყველა რატომღაც ყველაფერს მთავრობას აბრალებს, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკის და პრეზიდენტის ბრალი არ არის. ისიც პრეზიდენტის ბრალია, რომ შვილი დედ-მამას დახოცავს? რა თქმა უნდა, რაღაც ნაწილი მთავრობის ბრალია, მაგრამ ჩვენი წილიც არის. ამის აღიარება არ გვინდა.

ახალგაზრდებს შეკითხვას რომ დაუსვამენ, რა არის თქვენი პრობლემა, უმეტესობა პასუხობს-ფული. რატომ ფული და არა სიყვარული?

აი, ამ კითხვას ასეც სცემენ პასუხს, ფული რომ გქონდეს, სიყვარულსაც იყიდიო. ფულისადმი ასეთი დიდი ინტერესი იმიტომ აქვთ, რომ ამ ქვეყანაში გართობა, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვაა მთავარი და არა საქმე და კაცთმოყვარეობა.ადამიანებს შორის სიყვარული ფულთან ნამდვილად არ არის დაკავშირებული. ეს თუ გავიგეთ, კორუფციასაც ვაჯობებთ.



# წერილები მთავრობას

## პასუხი

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პასუხი** 71-ე სკოლის მოსწავლის დათო შერმაზანაშვილის შეკითხვაზე "გვეშინია ქუჩაში გასვლის...რამდენად არის დაცული ჩვენი ქვეყნის საზღვრები და თბილისი იმისგან, რომ არ განმეორდეს ისეთი ტრაგედია, როგორიც მოხდა მოსკოვში , ნიუ-იორკში და სხვაგან; დროულად გვიშველიან თუ არა, როცა მეტროში გაგვიჭირდება უშუქობის დროს?"

**ჩემო ძვირფასო პატარა მეგობრებო**, თქვენ ხართ ჩვენი პატარა სამშობლოს დიდი მომავალი. მე მესმის თქვენი შეშფოთების, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის რეალობას მოკლებული. ჩემი შვილებიც სწორედ ასევე განიცდიან, როგორც თქვენ, მაგრამ მე შევძელი მათი დარწმუნება – საქართველოში არ განმეორდება ის, რაც მოხდა მოსკოვსა თუ ნიუ-იორკში !

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობა გაძლიერებულად მუშაობს იმისთვის, რომ მსგავსი ტრაგედიისგან დავიფაროთ ჩვენი მომავალი, ანუ თქვენ, თვალხატულა და თვალჟუჟუნა გოგო-ბიჭები. მერწმუნეთ, ნუ შეგეშინდებათ ქუჩაში გასვლის, იარეთ ლაღად და თავაწეულებმა, თქვენ ხომ საქართველოს მომავალი ხართ.

*თქვენი იმედით, ვალერი ხაბურძანია*

პარლამენტარ **ვახტანგ რჩეულიშვილის პასუხი** 51-ე სკოლის მოსწავლის თამუნა აბდუშელიშვილის შეკითხვაზე " რატომ არ ისჯებიან ის დეპუტატები, რომლებიც არღვევენ იმ კანონს, რომლებიც მათივე დამტკიცებულია და როდის შეწყვეტენ პარლამენტში დეპუტატები საფერფლეებით, "ბორჯომითა" და პულტებით ერთმანეთის დევნას?"

**ჩემო ძვირფასო თამუნა,**

ძალიან კარგია, რომ ამ ასაკში გაინტერესებს პოლიტიკა, რადგან სანამ მთელი მოსახლეობა არ მიხვდება, რომ ქვეყანა მათი სამართავია, აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში და ხმა უნდა მისცენ მხოლოდ იმათ, ვისაც ეს შეუძლია, მანამ საქართველოში ნამდვილი დემოკრატია ვერ აშენდება. დღეს, სამწუხაროდ, ყველას ჰგონია, რომ საქართველოში მდგომარეობა მხოლოდ ლიდერზე არის დამოკიდებული, ანუ შევარდნაძეზე. ყველა კარგ საქმეზე შევარდნაძეს ეუბნებიან მადლობას, ეს ამერიკასთან ურთიერთობაა თუ ბაქო ჯეიჰანის მილსადენი და ასევე, ცუდზე შევარდნაძეს თხოვენ პასუხს, მოუგვარებელი სოციალური პრობლემები იქნება, თუ უზარმაზარი კორუფცია.

სწორედ იმით განსხვავდება ნამდვილი დემოკრატიული ქვეყანა არადემოკრატიულისგან, რომ იქ პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერ ჩინოვნიკს, რომელსაც თავისი კონკრეტული საქმე აქვს ჩაბარებული და როგორ უვლის ამ საქმეს, რა თქმა უნდა - დეპუტატებს, რადგან დეპუტატები ითვლებიან ქვეყნის კანონშემოქმედებად. ჩვენთან, სამწუხაროდ ეს პასუხისმგებლობის გრძნობა არც ბევრ დეპუტატს და არც ბევრ პარტიას არა აქვს გაზიარებული. ამ დროს ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ ჩინოვნიკს მიაჩნია თავისი ხელისუფლება უსაზღვრო და ის არ არის ვალდებული არავის მიმართ, ანუ კანონი იწერება ყველასათვის და არა მისთვის - ანუ დაუსჯელობის სინდრომი . გეთანხმები, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, რაც დღეს საქართველოს სჭირს. კორუფცია კომუნისტურ დროსაც იყო, მაგრამ საზოგადოებამ იცოდა, ვინ არის მექრთამე და ის ისჯებოდა. ჩვენთან, პრაქტიკულად, თუ მაღალი პოლიტიკური თანამდებობა გიკავია, დაზღვეული ხარ პასუხი აგო შენს ნამოქმედარზე. ეს სრულად ეხება დეპუტატებსაც, ვისაც იცავს საპარლამენტო იმუნიტეტი. თავისთავად იმუნიტეტი იყო დემოკრატიული ფორმა, რომელიც იცავდა დეპუტატს თავისუფალი აზრის გამოთქმის დროს ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორებისაგან, მაგრამ საქართველოში ამან მახინჯი ფორმა მიიღო და ზოგიერთი დეპუტატი იმუნიტეტს იმისთვის იყენებს, რომ თავი აარიდოს დასჯას და მართლაც ასეა, რამდენჯერაც არ შემოვიდა პროკურატურა მოთხოვნით, რომ დაეკავებინათ ესა თუ ის დეპუტატი და მოეხსნა იმუნიტეტი, პარლამენტმა უარი უთხრა. იმიტომ, რომ თითოეული დეპუტატი ამას უყურებს ასე: მე რომ რამე გამიჭირდეს, მეც უნდა დამიცვას იმუნიტეტმა პასუხისმგებლობისაგან სამართალდამცავი ორგანოების წინაშე. ყველას ეშინია ამ პასუხისმგებლობის. რიგ შემთხვევაში გამართლებულიც არის ასეთი შიში იმით, რომ არ ენდობიან სამართალდამცავებს - მაშინ მოსახლეობამ რა დააშავა, რომელსაც ამ სამართალდაცვის სისტემაში უწევს ცხოვრება. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის იმუნიტეტის შეზღუდვა: შეიძლება დაკავებაზე იყოს იმუნიტეტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - სამართლებრივად საქმის აღძვრაზე და ძიებაზე, თუ მას დაუმტკიცეს დანაშაული, ის ისევე აგებს პასუხს, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. როდის შეიქმნა საქართველოში ასეთი დაუსჯელობის სინდრომი? მე მიმაჩნია, რომ ეს ჩამოყალიბდა 95 წლიდან, როცა ძალაუფლება ისევ ერთმა პარტიამ აიღო, ეს იყო მოქალაქეთა კავშირი. აი, მაშინ ერთპიროვნულად მოვიდნენ ხელისუფლებაში. პირველი პირი იყო შევარდნაძე, მეორე პირი იყო ჟვანია - პარლამენტის თავმჯდომარე. ჟვანიამ თავისი კადრებით დააკომპლექტა როგორც საპარლამენტო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება, გან საკუთრებით იქ, სადაც კორუფცია არის ფესვგადგმული- ეს არის ფინანსთა მინისტრი, საგადასახადო, საბაჟო და მოხდა ისე, რომ ამ ხალხმა, რომლებსაც არ ჰქონდათ გამოცდილება სამეურნეო და ქვეყნის მართვისა, ერთადერთი რაც მოახერხეს, შექმნეს კიდევ უფრო ძლიერი კომუნისტური პირამიდა, ვიდრე ჰქონდათ კომუნისტებს და თან თავისთვის დაუსჯელობის ყველა გარანტია მიიღეს. ყველაზე დიდი, რაც ამ თანამდებობის პირებს მოუწიათ, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ეს თანამდებობიდან გათავისუფლება იყო და სხვა თანამდებობაზე გადაყვანა. დღეს ეს შეკრული წრეა, არც მთავრობის წევრებს აწყობთ, რადგან თვითონ აპირებენ თავის შეფარებას პარლამენტში და ეშინიათ თვითონ არ დაისაჯონ, თუმცა არავინ და არასდროს საქართველოში არ დასჯილა.

რა უნდა გავაკეთოთ და როგორ გამოვიდეთ ამ უბედურებიდან, რომ ჩვენმა დეპუტატმა შეასრულოს კანონის მოთხოვნები

ზაქრო ქუცნაშვილმა, ჩვენმა იურისტმა პარლამენტარმა სოციალისტმა შესთავაზა პარლამენტს კანონპროექტი სადეპუტატო იმუნიტეტის შესამცირებლად. პარლამენტი თავს იკავებს და, ალბათ, იმავე მიზეზების გამო, რომელზეც უკვე მოგახსენეთ და მე მჯერა, რომ თუ სწორი ნაბიჯები გადავდგით კორუფციასთან ბრძოლაში და ერთმა დეპუტატმა მაინც აგო პასუხი თავის დანაშაულზე, მაშინ უფრო გაგვიადვილდება კორუფციასთან ბრძოლა.

რაც შეეხება ჩხუბებს პარლამენტში , ძალიან ხშირია და მეც მიმიღია მონაწილეობა, დავიწყოთ ბორჯომის ინციდენტით, მაგრამ მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ სამარცხვინოა პარლამენტში ჩხუბი. მე მაშინ ხელის ხმარება არ მინდოდა, მაგრამ ვერ გავუძელი შეურაცხყოფას და პროტესტი ასე გამოვხატე, მით უმეტეს, რომ უფროსი ადამიანი იყო და ვერავითარ შემთხვევაში ხელს ვერ ვახლებდი. შემდეგ უკვე ამ ჩხუბებმა ხშირი ხასიათი მიიღო, მაგრამ ჩხუბები სახელისუფლებო მხარის ინსპირირებული იყო. აი, ის ჩხუბიც, რომელშიც მე ჩავერთე მაჭავარიანის და გაზდელიანის გამშველებლად, შემდეგ შემოვარდა ბორჯომის დეპუტატი და მეც მომიწია სილის გაწვნამ. რასაკვირველია, ეს ულამაზოა. მე თავზე ჭრილობაც მივიღე, მაგრამ ანგარიშსწორებაზე არ მიფიქრია და ეს იყოს სამაგალითო ყველასთვის - ქუჩას თავისი კანონები აქვს და პარლამენტს თავისი. ყველაზე ცუდად საქართველოში საქმე მაშინ იყო, როცა ქუჩის კანონებით ცდილობდნენ ქვეყნის მართვას, ეს იყო ბატონ ჯაბა იოსელიანის დროს, მაგრამ ახლა უკვე "გალსტუკიანი" ყაჩაღების ხელში ჩავარდა ქვეყანა.

ეს მისახედი საკითხია, ამიტომ მოვითხოვე პროკურატურისგან, რომ ვინც დააშავებს, ყველა შემთხვევაში, პროკურატურა უნდა წარსდგეს პარლამენტის წინაშე ბრალდებით და დეპუტატს უნდა მოეხსნას იმუნიტეტი. აქამდე პროკურატურა ამგვარი ბრალდებით არ შემოსულა, და რომც შემოვიდეს კიდეც, მაშინ პარლამენტი მაინც არ მოუხსნის ამ იმუნიტეტს, მაგრამ მცდელობაც აუცილებელია. მე მინდა ჩემი ინციდენტი იყოს პირველი, რადგან მე დამესხნენ, ვისაც სახელმწიფო დაცვა იცავს, დაზიანება მიაყენეს დაცვის წევრებსაც. თუ ის პირი ვერ იცავს თავს, ვისაც სახელმწიფო იცავს, რა უნდა გააკეთოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ. აი, ამიტომაც, მე მადლობელი ვარ შენი წერილის, ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ ზომები და მდგომარეობა უკეთესი გახდეს, მაგრამ რამდენად გამოგვივა, ეს ძნელი სათქმელია. ძალიან მინდა, რომ ისე, როგორც შენ, სხვა ადამიანებიც დაინტერესდნენ, რა ხდება თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, რა ხდება სახელმწიფოში და ეცდება თავისი მონაწილეობით , თუნდაც ისეთით, როგორც შენ შენი შეკითხვით, წვლილი შეიტანონ სახელმწიფოს მშენებლობაში.

*პარლამენტარი, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე – ვახტანგ რჩეულიშვილი.*

**დაგვირეკეთ: 20-24-24**
**მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45,**
**ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge**
**გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა**

მოკლედ

## ჩრდილოეთ კორეა ატომურ ბომბებს აწარმოებს



*ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ბომბების დამზადების შეწყვეტას არ აპირებს.*

ამერიკის მაღალჩინოსნების ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ ურანის გამდიდრება დაიწყო. სავარაუდოდ, ეს კომუნისტური ქვეყანა ატომური ბომბების საწარმოებლად ემზადება.

სადაზვერვო თვითმფრინავების მიერ ჩრდილოეთ კორეის იონპიონის ბირთვული რეაქტორის თავზე აღებული ჰაერის სინჯებში კრიპტონ-85-ის შემცველობა აღმოჩნდა. ეს სპეციფიკური აირია, რომელიც ურანის გამდიდრებას თან ახლავს. დაზვერვის ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეაში ატომური ბომბების დასამზადებლად გამალებული მუშაობა მიმდინარეობს.

"სი-ენ-ენი" სადაზვერვო სამსახურების ანალიტიკოსებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამერიკულმა თანამგზავრებმა იონპიონის რეაქტორიდან ჩრდილოდასავლეთით 40 კილომეტრით დაშორებული პოლიგონი აღმოაჩინეს, რომელიც, შესაძლოა, პატარა ატომური ბომბების გამოსაცდელად გამოიყენება.

ექსპერტების თქმით, ჩრდილოეთ კორეას იმ რაოდენობის ურანისა და პლუტონიუმის დამზადების საშუალება აქვს, რამდენიც, დაახლოებით, 8-12 ატომური ბომბის წარმოებას სჭირდება. ახალი ბომბების დამზადებას კი ფხენიანი სულ რამდენიმე თვეში მოახერხებს.

ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეას ამჟამად 1-3 ატომური ბომბი აქვს.

სამხრეთ კორეის სადაზვერვო სამსახურებმა გასულ კვირას განაცხადეს, რომ ჩრდილოეთ კორეამ იონპიონის რეაქტორში პლუტონიუმის დამზადების პროცესი განაახლა.

ახლა, ამერიკის თავდაცვის უწყება და სადაზვერვო სამსახურები მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარს გამალებული ამუშავებენ, მათ შორის, ამერიკის მიერ ჩრდილოეთ კორეაზე სამხედრო იერიშის მიტანის შესაძლებლობასაც.

## ინდოეთში უცნობ დაავადებას ებრძვიან

ინდოეთის სამხრეთი შტატის ანდრა პრადეშის ხელისუფლებამ სანიტარული კვირა გამოაცხადა, რათა ბავშვებს შორის ინფექციის გავრცელება აიცილოს თავიდან.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, მეცნიერებისთვის უცნობი ვირუსის შედეგად, დაახლოებით, 100 ბავშვი დაიღუპა.

შტატის ხელისუფლებამ ამ ვირუსის წარმომშობი მიზეზების შესახებ დღემდე არაფერი იცის. ვირუსით გარდაცვლილ ბავშვთა ასაკი 2-14 წელს შორის მერყეობს. დაავადების ძირითადი სიმპტომები მაღალი სიცხე და ფაღარათია.

დელიში არსებული "გადამდები დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის" დასკვნით, ახალი ავადმყოფობა ენცეფალიტის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. თუმცა, 60 დაავადებული ბავშვის სისხლის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ სამ მათგანს აღმოაჩნდა ენცეფალიტი. "ჩვენ მხოლოდ ენცეფალიტის დროს რეკომენდირებულ მკურნალობის კურსს ვატარებთ, სხვა არაფერი შეგვიძლია", - განაცხადა ანდრა პრადეშის ჯანდაცვის მინისტრმა შივაპრასადა რაომ.

შტატის ხელისუფლების ინფორმაციით, სიკვდილიანობა მხოლოდ რვა რაიონში აღინიშნა. ამჟამად, 200-ზე მეტი პატარა მკურნალობის ინტენსიურ კურსს გადის.

ინდოეთის ეს შტატი მაღალი ტექნოლოგიების წარმოებით არის განთქმული, მაგრამ ვირუსის გავრცელების შეჩერება შტატის ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ამის გამო, ოპოზიცია ადგილობრივ მთავრობას მკაცრად აკრიტიკებს და მას გულგრილობაში ადანაშაულებს.

# ერაყში დამატებით ძალებს შეიყვანენ

*ვითარების გაუარესების გამო, აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ერაყში დამატებითი ძალების შეყვანას არ გამორიცხავს. სულ ცოტა ხნის წინ კი, დონალდ რამსფელდი ამერიკელი ჯარისკაცების გამოწვევაზე ლაპარაკობდა.*



*პენტაგონის შეფმა აღიარა, რომ ერაყის ომის რეალური ხარჯები ადრე დასახელებულს ორჯერ აღემატება.*

REUTERS

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა ერაყში, შესაძლოა, დამატებითი ჯარები გააგზავნოს, რათა პარტიზანთა კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობა დაძლიოს. მინისტრის თქმით, რეგულარული თავდასხმების გამო, ამერიკელ ჯარისკაცთა შორის მსხვერპლის რაოდენობა გაიზრდება.

დონალდ რამსფელდმა პირველად განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის არმიისა და ელიტარული დანაყოფების – "ფადეინების" წევრების მიერ ამერიკული ჯარების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები, სავარაუდოდ, კოორდინირებულ ხასიათს ატარებს.

რამდენიმე კვირის წინ რამსფელდი და მისი თანაშემწეები ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდნენ, რომ ამერიკული ჯარების რაოდენობა ერაყში შემცირდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა სამშვიდობო ძალები ზაფხულის მიწურულს ერაყში ჩავიდოდნენ. პენტაგონი იმედოვნებდა, რომ ერაყული პოლიციის გაწვრთნა ასევე საშუალებას მისცემდა ამერიკელებს, თავიანთი ჯარისკაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეემცირებინათ.

თუმცა, ამერიკელ ჯარისკაცებზე და მათ დამხმარე ერაყელებზე გახშირებულმა და მიზანმიმართულმა თავდასხმებმა ამერიკელი მაღალჩინოსნები შეაშფოთა, ხოლო პენტაგონელმა სტრატეგოსებმა ადრე გაკეთებული გათვლების გადასინჯვა დაიწყეს.

ახლა, ერაყში 148 000 ამერიკელი და 13 000 არაამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება. ზაფხულის ბოლოს ერაყში მყოფ კონტინგენტს მოკავშირეთა დამატებით 17 000 ჯარისკაცი შეემატება. რამსფელდის განცხადებით, წესრიგის უზრუნველსაყოფად 28 000 ერაყელი პოლიციელია საჭირო. ამას გარდა, ამერიკელები აპირებენ, რომ ერთი წლის განმავლობაში ერაყის არმიის 12 000 ჯარისკაცი გაწვრთნან. გეგმის თანახმად, მათმა რიცხვმა სამი წლის განმავლობაში 40 000 კაცს უნდა მიაღწიოს.

ჯერ კიდევ ოთხშაბათს სენატის შეიარაღების კომიტეტის წინაშე გამოსვლისას რამსფელდი გენერალ ტომი ფრენკს დაეთანხმა, რომ ერაყში არმიის რაოდენობა დიდად არ შეიცვლება.

"არასწორი იქნება იმის თქმა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალები ამერიკულ ჯარებს ჩაანაცვლებენ, - აღნიშნა რამსფელდმა სენატორებთან საუბრისას, - ჩვენ ამას არ ვგეგმავთ".

იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში განლაგებულ ამერიკულ არმიას შევსება დასჭირდება, მაშინ "ჩვენ ერთმნიშვნელოვნად მოვალთ თქვენთან და ამის შესახებ გთხოვთ", - თქვა რამსფელდმა. "ახლა, ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ", - დასძინა მან. აშშ-ში საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს კონგრესი წყვეტს.

ამ კვირაში სამხედროები რამსფელდს მოხსენებას გაუკეთებენ იმის თაობაზე, თუ ერაყში ამერიკის ჯარის დატოვება რამდენი ხნით იქნება მიზანშეწონილი. პენტაგონი აგრეთვე გადაწყვეტს, არმიის რომელი ქვედანაყოფები დატოვოს და რომელი - არა.

რამსფელდმა გუშინ დაადასტურა, რომ ამერიკის ხელისუფლება ჰუსეინის მხარდამჭერებისაგან თავდასხმების ახალ ტალღას ელის, რაც რამდენიმე თარიღთან არის დაკავშირებული. ამ თარიღთაგან ერთ-ერთია 14 ივლისი. 1958 წლის 14 ივლისს ბრიტანელების მოკავშირე ერაყელი მონარქი ტახტიდან ჩამოაგდეს. ეს დღე სადამ ჰუსეინმა ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა. სადამის მომხრეებმა თავიანთი სიტყვა შეასრულეს: გუშინ განხორციელებული თავდასხმის დროს ერთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს, ხოლო ექვსი დაჭრეს.

16 ივლისი – ამ დღეს ჰუსეინი ოფიციალურად მოვიდა ხელისუფლების სათავეში და 17 ივლისი – მმართველი ბაასის პარტიის მიერ 1968 წელს მოწყობილი რევოლუციის თარიღი.

"ჩვენი აზრით, ზაფხული მშვიდობიანი არ იქნება", - განაცხადა რამსფელდმა "ეი-ბი-სიზე" გამოსვლისას. "ნათელია, რომ ბაღდადში, ან მის შემოგარენში ამ თავდასხმების კოორდინაცია არსებობს. ჩვენ დამადასტურებელი ინფორმაცია არ გვაქვს, რომ ეს მთელი ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით ხდება, მაგრამ გამორიცხული არაფერია".

რამსფელდის თქმით, ამ ვითარებაში სადამ ჰუსეინის მოკვლა, ან შეპყრობა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, რათა ერაყელებს შორის საბოლოოდ დასრულდეს საუბარი იმის თაობაზე, რომ ჰუსეინი, შესაძლოა, დაბრუნდეს.

"ის ფაქტი, რომ სადამი ჯერ არ მოგვიძებნია, პრობლემას გვიქმნის, - თქვა მან, - ჩვენ მისი მოძებნა ძალიან გვჭირდება".

ადრე რამსფელდი აცხადებდა, რომ ერაყის მართვა ყოველთვიურად 2 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდებოდა. ახლა, პენტაგონის შეფმა აღიარა, რომ რეალური ხარჯები ადრე დასახელებულს ორჯერ აღემატება.

# გაანადგურეთ რუსული იარაღი

პირველი გვერდიდან

საუბარი შეეხება საფრთხის შემცირების ერთობლივ პროგრამას, რომელიც 1992 წელს მაშინდელმა სენატორებმა - დემოკრატმა სემ ნანმა და რესპუბლიკელმა რიჩარდ კლუგარმა წამოაყენეს. თერთმეტი წლის მანძილზე, ეს პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოში მასობრივი განადგურების იარაღის იმ დიდი არსენალის განადგურებას, რომელიც ყველაზე ცუდად არის დაცული. ეს არსენალი არ ინახება არც ერაყში და არც ჩრდილოეთ კორეაში, არამედ - ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ათწლიან პერიოდში, ამ პროგრამის მიხედვით, რომელშიც გაცილებით ნაკლები თანხაა ჩადებული, ვიდრე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის წლევანდელ პროექტში, აშშ-მ 6 ათასზე მეტი საბრძოლო ქობინის განადგურება შეძლო.

რუსეთის ათიათასობით ტონა ქიმიური იარაღის გვერდით, კვლავაც რჩება ბირთვული იარაღის საბრძოლო ქობინების დიდი რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ უარი განაცხადა თავდაპირველ ჩანაფიქრზე, პროგრამის პირობებისათვის გადაეხედა, მისი მხარდაჭერა ხელისუფლების და, კერძოდ, პენტაგონის მხრიდან კვლავ დუნედ მიმდინარეობს. პროგრამას უგულოდ აფინანსებენ სხვა მდიდარი ქვეყნებიც, ხოლო აშშ-ს მონაწილეობა საფრთხის ადეკვატურ დონეზე ვერ ხერხდება.

პროგრამას ბევრი უჭერს მხარს, თუმცა წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელები, რომლებიც წლების მანძილზე ებრძვიან ამ პროგრამას, კვლავაც ცდილობენ მისი მნიშვნელობის დაკნინებას. წარმომადგენელთა პალატაში თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დუნკან ჰანტერმა ამ პროგრამას "არაფოკუსირებული და შინაგანად ურთიერთსაწინააღმდეგო" უწოდა. ამის შემდეგ, მან წამოაყენა თავდაცვითი პროექტების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსება მკვეთრად უნდა შემცირდეს.

ამ პროექტებს შორის ყველაზე სერიოზული კი, რუსეთის ქალაქ შუჩიეში ქიმიური იარაღის გასანადგურებელი ქარხნის მშენებლობაა. აქ დაგეგმილია ათასობით ტონა ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერების განადგურება. გარდა ამისა, მიტოვებულ ბუნკერებში კვლავაც ინახება არსენალი, რომელიც 1,9 მილიონი საარტილერიო ჭურვისგან შედგება. ეს ჭურვები კი სწორედ ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებებით არის დატვირთული. ტერორისტს, რომელიც თუნდაც ერთი ასეთი ჭურვის ხელში ჩაგდებას შეძლებს, 100 ათასი ადამიანის განადგურება შეეძლება. ადმინისტრაციამ ამ პროექტის დასაფინანსებლად მომავალი წლისათვის 200 მილიონი ამერიკული დოლარი მოითხოვა. (პროექტი ფინანსირდება საერთაშორისო კონსორციუმის მიერ, სადაც ევროპის ქვეყნები და რუსეთი შედიან.) მიუხედავად ამისა, ჰანტერის კომიტეტმა ეს თანხა 29 მილიონ ამერიკულ დოლარამდე შეამცირა, ხოლო დანარჩენი სახსრების გამოყენება ისეთი პირობებით არის შეზღუდული, რომ შესაძლებელია ეს თანხები საერთოდ აუთვისებელი დარჩეს.

ჰანტერი აღნიშნავს, რომ რუსეთში იარაღის გასანადგურებლად რეალიზებული სხვა ორი პროგრამის შემოწმებისას, აღმოჩნდა, რომ უკიდურესად არაეფექტური მენეჯმენტის მიზეზით, ათობით მილიონი ამერიკული დოლარი ჰაერშია გაფლანგული. ჰანტერის მიერ შეთავაზებული საშუალება კი, ფაქტობრივად, პროექტის გაყინვას ნიშნავს. თეთრი სახლი ჰანტერის შესწორებებს არ დაეთანხმა და მხარი დაუჭირა კანონპროექტის სენატისეულ ვერსიას, რომელსაც ამჟამად სპეციალური შემათანხმებელი კომისია განიხილავს.

მაისში, პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა კონგრესში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ **"შუჩიოში პროგრესის მიღწევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრება იმ საფრთხის დროული ლიკვიდაციის მიზნით, რომელიც რუსული ნერვულ-პარალიტიკური იარაღით არის გამოწვეული."** 11 სექტემბრის შემდეგ, სენატის თავდაცვის კომიტეტის დასარწმუნებლად ასეთი განცხადება საკმარისი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციას თავის პრიორიტეტად თვლის, ჯერჯერობით ვერ უმკლავდება ობსტრუქციონიზმს, რომელსაც საკუთარი პარტიის წევრები უქმნიან.

თარგმნა ***ლევან ღირსიაშვილმა***




# ევროკავშირი

## ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

**განაცხადების მიღება ევროკავშირის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის“ მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში**

კოდი: **DELGEO/EIDHR/MICRO/2003**

ევროკომისია საქართველოში აცხადებს მიკროპროექტებთან დაკავშირებული განაცხადების მიღებას. მიკროპროექტების დაფინანსება მოხდება ევროკავშირის პროგრამის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივა“ ფარგლებში. ***ქართული არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტების საერთო თანხაა 300 000 ევრო.***

აღნიშნული პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებზე, რომლებიც მოღვაწეობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების სფეროში, აგრეთვე, იმ ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტების თავიდან აცილებას (პრევენცია) და მოგვარებას. მიკროპროექტებთან დაკავშირებული წინადადებები შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

**ა. სათანადო მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა:**
- კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის (კერძოდ, პროკურატურის) დამოუკიდებლობისა და სისხლის სამართლის სფეროს რეფორმის მხარდაჭერა.
- სათანადო მმართველობის **(good governance)** ხელშეწყობა, კერძოდ, ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების დამკვიდრების, კორუფციის თავიდან აცილებისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობის გზით;
- საქმიანობა, რომლის მიზანია კონფლიქტების თავიდან აცილება (პრევენცია), მოგვარება და მათი შედეგების რეგულირება; იგულისხმება დამხმარე ღონისძიებებიც, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესების შეთანხმებას და ჰარმონიზებას.

**ბ. წამებისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის უფლებების დაცვა და ამ უფლებათა დამკვიდრების ხელშეწყობა:**
- საქმიანობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ჰუმანური საპატიმროების სისტემის დამკვიდრებას და წინასწარი დაკავების პერიოდში ცუდი მოპყრობის თავიდან აცილებას;

**გ. რასიზმთან, ქსენოფობიასთან და უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციასთან ბრძოლა:**
- რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლისკენ და რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების დაცვისკენ მიმართული საქმიანობის ხელშეწყობა.

განმცხადებლებს შეუძლიათ წინადადებების ინდივიდუალურად და კონსორციუმების შემადგენელი ნაწილის სახით შემოტანა.

პროექტის ხარჯების მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაფარვა შესაძლებელია გრანტებით, 90%-ია. გრანტებით დაფინანსდება პროექტები, რომელთა ფარგლებში სამუშაოები 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

**გრანტების ოდენობაა 3 000 ევროდან 50 000 ევრომდე.**

განმცხადებლები უნდა წარმოადგენდნენ არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა სათაო ოფისი საქართველოში მდებარეობს. განაცხადების შემოტანა შეუძლიათ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებსაც სათაო ოფისი სხვა ქვეყანაში აქვთ, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი დამოუკიდებელი დანაყოფით არიან წარმოდგენილნი.

სრული „სახელმძღვანელო მითითებები განმცხადებლებისთვის“ მოსაპოვებლად, მიმართეთ ევროკომისიის წარმომადგენლობას საქართველოში, მისამართი: თბილისი 0102, ნინო ჩხეიძის ქ. N38, ტელეფონი: +995(8)32 94 37 63, ფაქსი: +995(8)32 94 37 68, ელექტრონული ფოსტა: **delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int**, აგრეთვე, იხილეთ შემდეგი ვებგვერდი: **http://europa.eu.int/comm/europeaid/projects/eidhr/cfp-en.htm**

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2003 წლის 15 სექტემბერი, 16 საათი თბილისის დროით.**

ნებისმიერი კითხვა განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებით უნდა გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით (აუცილებლად მიუთითეთ კოდი) შემდეგ მისამართზე: delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int განმცხადებლებს ვთხოვთ განაცხადების მიღების საბოლოო ვადამდე რეგულარულად მიმართონ რჩევებისთვის ინტერნეტის აღნიშნულ ვებგვერდს, რადგან ევროკომისია გამოაქვეყნებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს და მათზე პასუხებს.

*წინამდებარე ტექსტი ინგლისურიდან თარგმანია. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭება.*


# არიელ შარონი ლონდონთან შერიგებას ცდილობს



*ტონი ბლერმა თავისი ებრაელი კოლეგა დაუნინგ-სტრიტში სადილზე მიიწვია.*

REUTERS

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ლონდონში ჩასულმა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დიდი ბრიტანეთის ლიდერთან ტონი ბლერთან მოლაპარაკება გამართა. შეხვედრის მთავარი თემა კი, რასაკვირველია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირება იყო.

მანამდე, არიელ შარონი აცხადებდა, რომ მისი სამდღიანი სამუშაო ვიზიტის მიზანი სამშვიდობო გეგმის მხარდასაჭერად ისრაელის პოზიციების გამყარება იქნებოდა. სააგენტო "ბიბისი", ისრაელის ხელისუფლებაში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, შარონი შეეცდება ბლერის ყურადღება იმ ანტიებრაული განწყობების გაძლიერებაზე გაამახვილოს, რომელიც დიდი ბრიტანეთის მუსულმანურ თემებში სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იძენს. ის შეეცდება დაარწმუნოს დიდი ბრიტანეთის პრემიერი, რათა დიდი ბრიტანეთის მუსულმანებში რადიკალური მოძრაობა "ჰამასისათვის" ფინანსური თანხების მოგროვება ოფიციალურად აიკრძალოს.

ექსპერტები ვარაუდობენ: დიდი ბრიტანეთის ლიდერი, თავის მხრივ, არიელ შარონს შეახსენებს, რომ პალესტინურ ტერიტორიებზე უკანონო ებრაული დასახლებები უნდა განადგურდეს და პალესტინელი პატიმრები ისრაელის ციხეებიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ.

აღსანიშნავია, რომ ისრაელსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობები ამ ბოლო დროს საკმაოდ გაცივდა. ჯერ კიდევ ა.წ. იანვარში, დიდ ბრიტანეთში შემდგარ კონფერენციაზე, რომელიც პალესტინაში არსებულ ვითარებას მიეძღვნა, ისრაელმა თავად პალესტინის ავტონომიის დელეგატებს ლონდონში ჩასვლის უფლება არ მისცა. ამასთან დაკავშირებით ოფიციალურმა ლონდონმა თავისი უკმაყოფილება ღიად გამოხატა. ორ სახელმწიფოს შორის კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა ისრაელის სამხედრო მოსამსახურეების მიერ გაზაფხულზე პალესტინის ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის სამი მოქალაქის დახვრეტის ფაქტმა. გარდა ამისა, ისრაელმა რამდენიმე ხნის წინ, ორ ბრიტანელ მუსულმანს ბრალი დასდო თელ-ავივში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში. ამდენად, არიელ შარონის ვიზიტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მან ეს ურთიერთობები ნორმალურ რელსებზე უნდა გადაიყვანოს.

ლონდონში ჩასვლამდე, ისრაელის ლიდერმა ინტერვიუ მისცა ორ ბრიტანულ გაზეთს, სადაც პირდაპირ მოუწოდა ევროპის ქვეყნებს პალესტინის ლიდერთან იასირ არაფატთან ყველანაირი კონტაქტის გაწყვეტისაკენ. მისი თქმით, იასირ არაფატი სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" ჩაშლას ცდილობს და ამისათვის არაფერს ერიდება. არაფატისათვის ევროპული მხარდაჭერის შესუსტებას შარონი ამ ვიზიტის ფარგლებში შეეცდება.

ტონი ბლერის გარდა, სამდღიანი ვიზიტის დროს დაგეგმილია შარონის შეხვედრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯეკ სტროსთან და კონსერვატორული პარტიის ლიდერთან იენ დანკან სმიტთან. ტონი ბლერთან გამართული შეხვედრის შედეგები, ჯერჯერობით, უცნობია. სააგენტო "ბიბისის" ცნობით კი, თავად ის ფაქტი, რომ ტონი ბლერმა თავისი ებრაელი კოლეგა დაუნინგ-სტრიტში სადილზე მიიწვია, უკვე ბევრს ნიშნავს, რადგან ეს ძალზე იშვიათად ხდება.

პარალელურად, საერთაშორისო სააგენტოები პალესტინაში ვითარების გართულების შესახებ იუწყებიან. კერძოდ, "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც ნათქვამია, რომ ისინი იარაღის კონფისკაციას არ დაუშვებენ, რადგან იარაღი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთადერთი საშუალებაა. მათ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთეს, რაც, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა პალესტინის ხელისუფლებას ღაზას სექტორში ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებისკენ მოუწოდა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ასევე გააფრთხილა მინისტრთა კაბინეტის წევრები, რომ პალესტინურმა რადიკალურმა ორგანიზაციებმა მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე თავიანთი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გამოიყენეს.

## საარჩევნო თანხების გამჭვირვალობისთვის

თამარ ხორბალაძე

ევროსაბჭო საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა და საარჩევნო კამპანიათა დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფს ქმნის. ჯგუფი ანტიკორუფციულ საბჭოსთან იქმნება და იგი პოლიტიკოსებით და მასმედიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. ჯგუფის შექმნის იდეა მიმდინარე წლის ივნისში გაჩნდა. საინტერესოა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდმა ნაწილმა – სახელისუფლებო ბლოკმაც, "ახლებმა", "ნაციონალებმა", "გაერთიანებულმა დემოკრატებმა", "სახალხომ", "ტრადიციონალისტებმა", "აღორძინებამ" თანხმობა განაცხადეს ევროსაბჭოს ეგიდითა და ანტიკორუფციული საბჭოს ორგანიზებით ითანამშრომლონ ასეთ ჯგუფთან.

რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია, რამდენად მიაღწევს ევროსაბჭო ამ ჯგუფის შექმნით მიზანს – მიაღწიოს საარჩევნო თანხების გამჭვირვალეობას.

დღეს სტრასბურგში მიემგზავრება პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი კახა უგულავა ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ოთხშაბათს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდება.

სამდღიან კონფერენციაზე, რომელზეც ამ ჯგუფის მუშაობის პრინციპები შემუშავდება, დაგეგმილია სპეციალური მემორანდუმის ხელმოწერა, რომელშიც პოლიტიკური პარტიები ევროსაბჭოს დაუდასტურებენ დაფინანსების გამჭვირვალობისთვის და ჯგუფის ფარგლებში თანამშრომლობისთვის მზადყოფნას.

საინტერესოა, რომ მსგავსი ჯგუფი ევროსაბჭოს ეგიდით, ჯერჯერობით, არც ერთ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს. საქართველოში, ერთგვარად, "სამოდელო" ინსტიტუტის შექმნით და შესაბამისი გამოცდილების გაზიარებით, ევროსაბჭო აპირებს, ასეთი ჯგუფების მიზანშეწონილობის შესახებ ზოგადი გადაწყვეტილების მიღებას.

## „საქართველოს რკინიგზა„ და ბათუმის ტერმინალი შეთანხმდნენ

სოფიკო ოხანაშვილი

შაბათს, 12 ივლისს, სამდღიანი პროტესტის შემდეგ, "ნავთტრანს ლიმითედის" შვილობილმა კომპანიამ "ბათუმის ნავთობის ტერმინალმა" და "ალეგრატრანსმა", რომელიც ტერმინალის მარკეტინგულ საკითხებს განაგებს, ბათუმის ტერმინალში ვაგონების ჩამოტვირთვა აღადგინეს. "ნავთტრანს ლიმითედის" წარმომადგენლის მაქსიმ კორნეევის თქმით, დაძაბული, 24-საათიანი მოლაპარაკებების შედეგად "საქართველოს რკინიგზასთან" გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ. მისივე თქმით, კონსენსუსი მნიშვნელოვნად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ტვირთების ჩამოტვირთვის შეჩერების შედეგად ორივე მხარე ზარალდებოდა. კორნეევის თქმით, მხარეებმა ასეულობით ათასი დოლარი დაკარგეს. **"საქართველოს რკინიგზასთან მოლაპარაკებებში ჩვენ მართლაც დიდ პროგრესს მივაღწიეთ"**, - "24 საათთან" საუბარში განაცხადა კორნეევმა.

"საქართველოს რკინიგზასთან" ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად "ნავთტრანს ლიმითედის" წარმომადგენელი იმას ასახელებს, რომ "საქართველოს რკინიგზა" "ბათუმის ნავთობის ტერმინალთან" და "ალეგრატრანსთან" ხელშეკრულების ისეთივე პირობებით თანამშრომლობას დათანხმდა, როგორითაც სხვა კლიენტებს ემსახურება.

შეგახსენებთ, რომ ცხრა ივლისს "ბათუმის ნავთობის ტერმინალმა" და "ალეგრატრანსმა", "საქართველოს რკინიგზასთან" არსებული პრობლემების დაურეგულირებლობის გამო, ბათუმის ტერმინალში ვაგონების ჩამოტვირთვა შეწყვიტეს. ცხრა ივლისსვე "ალეგრატრანსმა" უზენაეს სასამართლოში "საქართველოს რკინიგზის" წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. საქმე ისაა, რომ წლების განმავლობაში "საქართველოს რკინიგზა" "ალეგრატრანსს" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს ეუბნებოდა. კორნეევის განცხადებით, **თუ ყველაფერი შეთანხმებისამებრ წარიმართა, შესაძლოა, მათ სასამართლოდან სარჩელი გამოიტანონ.**

ფეხბურთი

# "დინამო" პირველი სიმაღლის წინ

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ თბილისის "დინამო" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირისკენ მიმავალ სამეტაპიან აღმართს შეუდგება. პირველი სიმაღლე, რომლის დაძლევაც საქართველოს ჩემპიონს მოუწევს, დანარჩენ ორთან შედარებით, არცთუ ძნელად მისაღწევია და სახელად ალბანეთის "ტირანა" ჰქვია.

გერმანიაში გამართული საწვრთნელი შეკრებიდან "დინამო" ორი დღის წინ დაბრუნდა და "არწივების ქვეყნის" წარმომადგენლებთან მატჩს გაძლიერებული ხვდება. კლუბმა წარმატებული სატრანსფერო სამუშაოები ჩაატარა და, შედეგად, ოთხი ახალწვეული ჰყავს. თუმცა, "ტირანასთან" თბილისურ მატჩში, რომელიც 16 ივლისს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, გუნდის გულშემატკივრები ვერც ამ ახალწვეულებს, ვერც დანარჩენ დინამოელებს და ვერც ალბანელ ფეხბურთელებს ვერ იხილავენ იმ მიზეზის გამო, რომ, უეფას გადაწყვეტილებით, ეს მატჩი მაყურებლების გარეშე ჩატარდება. ევროპის საფეხბურთო კავშირის ეს მკაცრი გადაწყვეტილება მოჰყვა შარშან ამ სტადიონზე "დინამოსა" და "ლიბერეცის" თამაშის დროს მომხდარ უწესრიგობებს. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული, რომ გუშინ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა ღია ვარჯიში გამართა და ახლები, მედიის წარმომადგენლებთან ერთად, სტადიონზე მისულ ერთგულ გულშემატკივრებსაც წარუდგინა. ფეხბურთელთა წარდგენის ცერემონია ასეთ შემთხვევებში მიღებული დასავლური სცენარით წარიმართა. ფეხბურთელებს გადასცეს "დინამოს" მუდმივნომრიანი მაისურები, რის შემდეგაც მათ "ბურთთან ურთიერთობაში" საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება მოახდინეს.

ყოფილი ვიტჯორჯიელი, საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატის ვიცე-ბომბარდირი, ლევან მელქაძე 18-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ლიდერს, სანდრო იაშვილს 20 ნომერი ერგო, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდის ექსმცველს, მამუკა წერეთელს 4 ნომერი არგუნეს, ხოლო მეორე ბრაზილიელ ლეგიონერს კარლოს და როჩას შემდეგ, 21 წლის ნახევარმცველს, ტესერს ასაკის შესაბამისი, 21-ნომრიანი მაისურა ჩააცვეს.

ახალწვეულებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ "დინამოს" აღმასრულებელ დირექტორს, გია ფირცხალავას.

"დინამომ" საზაფხულო სატრანსფერო სამუშაო ძირითადად დაასრულა. მართალია, განიხილება კიდევ ერთი-ორი უცხოელი ფეხბურთელის მოწვევის ვარიანტი, მაგრამ "ტირანასთან" მატჩებისთვის გუნდი პრაქტიკულად დაკომპლექტებულია. მართალია, მაღალი კლასის ფეხბურთელები დავიმატეთ, მაგრამ, არ დავმალავ, ბოლომდე კმაყოფილები არ ვართ. აქტიურად ვმუშაობდით მალხაზ ასათიანის გადმოსაბირებლად, მა-



ტესერი 21 ნომრით ითამაშებს

გრამ მოსკოვის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება ჩვენს სასარგებლოდ ვერ დავასრულეთ. "დინამოს" ახალწვეულთა ოთხეულში გამოვარჩევდი ლევან მელქაძეს, ძალიან კარგ თავდამსხმელს. თუმცა, არც დანარჩენი სამი ფეხბურთელი მოგვიწვევია სათადარიგოთა სკამის შესავსებად და კლუბს მათი იმედიც აქვს", - განუცხადა "24 საათს" გია ფირცხალავამ.

ქართველ გულშემატკივარს, ალბათ, აინტერესებს, თუ ვინ არის ტესერი. იგი ბრაზილიის პირველი ლიგის "კურიტიბაში" ირიცხება და ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია, თუმცა, მარცხენა ფლანგზე თამაშიც შეუძლია. იგი "დინამოში" ერთწლიანი იჯარით ითამაშებს და სეზონის დასრულების შემდეგ, თუ კლუბი და ფეხბურთელი ერთიმეორის სამსახურით კმაყოფილი იქნებიან, დადგება "კურიტიბადან" ტესერის კონტრაქტის გამოსყიდვის საკითხი.

"24 საათს" ტესერის კომენტარზე თარჯიმნობა მეორე ბრაზილიელმა, კარლოს და როჩამ გაუწია.

"მოხარული ვარ, რომ "დინამოში" მოვხვდი. მართალი გითხრათ, თბილისის "დინამოზე" ბევრი არაფერი მსმენია. ვიცოდი კიევის "დინამოს" არსებობის თაობაზე. ბრაზილიაში თქვენი თანამემამულე, გოჩა ალადაშვილი დამიკავშირდა და თბილისურ გუნდში გასასინჯად წასვლა შემომთავაზა. გუნდს გერმანიაში შევუერთდი. შუშაკი კმაყოფილი დარჩა, მეც ძალიან მომეწონა გუნდი, რასაც კონტრაქტის გაფორმება მოჰყვა. სულ ორი დღეა, რაც თბილისში ვარ. საწვრთნელი ბაზაც, სტადიონიც, გუნდის ამბიციაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და მე ასეთ გარემოში ცხოვრება მსიამოვნებს", - გვითხრა ბრაზილიელმა, რომელმაც შემდეგ, ორმხრივი თამაშის დროს, რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი შექმნა, რითაც საკუთარ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. ამას გარდა, ტესერმა უბადლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმებითაც მოგვხიბლა.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 15 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ბავარია"
15:00 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. მე-17 ტური
15:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ვალენსია" – "ბავარია"
17:00 "დარტყმა გოლისთვის"
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "დეპორტივო" – "რეალი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "არსენალი"
21:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "სპარტაკი" (რუსეთი) – "ვილემ II" (ჰოლანდია)
22:40 წყალბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. იტალია - უნგრეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "ლაციო"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:40, 21:30 პრეს-ცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კრივი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტაილანდში
14:55 წყალბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ვენესუელა - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 სინქრონული ცურვა. დუეტი
18:55 წყალში ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. ტრამპლინი 3მ. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:05 "კეგლის დროა"
20:35 წყალბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ვენესუელა - რუსეთი
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 წყალში ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. ტრამპლინი 3მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 სინქრონული ცურვა. გუნდური. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:00 წყალბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. იტალია – უნგრეთი

**EUROSPORT**

11:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი, ლუცერნი
13:00 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი ესპანეთში
16:00 მძლეოსნობა. "IAAF-ის სუპერ გრან-პრი დიდ ბრიტანეთში"
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
17:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი ესპანეთში
22:00 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი ესპანეთში
23:15 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი ესპანეთში
23:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 ნასკარის ავტორბოლა. უინსტონის თასი აშშ-ში

*Tour de France*

# ერთხელაც, დიქტატურის დასასრულს...

ირაკლი ბერიაშვილი



REUTERS

მე–8 ეტაპის გამარჯვებული იბან მაიო

**ტექნიკური შედეგები**

*VIII ეტაპი. სალანშ – ალპ დუეზი. 219 კმ.*

| | |
|---|---|
| 1. იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი) | 5 სთ. 57 წთ. 30 წმ. |
| 2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი) | +1 წთ. 45 წმ. |
| 3. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი) | + 2 წთ. 12 წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლანს არმსტრონგი | 35 სთ. 12 წთ. 50 წმ. |
| 2. ხოსება ბელოკი (ონსე, ესპანეთი) | +40 წმ. |
| 3. იბან მაიო | +1 წთ. 10 წმ. |
| 4. ალექსანდრ ვინოკუროვი | +1 წთ. 17 წმ. |
| 5. ფრანსისკო მანსებო (ბანესტო, ესპანეთი) | +1 წთ. 37 წმ. |
| 6. ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ) | +1 წთ. 52 წმ. |
| ........................................................ | |
| 8. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | +2 წთ. 10 წმ. |

სანამ ალპ დუეზის მთას მიადგებოდა, პელოტონი გვარიანად "მოითელა". როგორც ავადმყოფ ირმებზე, ისე ნადირობს ალპები დაღლილ, ძალაგამოცლილ ველომრბოლებზე. ხან ერთს გაჰკრავს კბილს, ხან – მეორეს, ხან – მესამეს. ძირითად გუნდს ჩამორჩენილთათვის შველა აღარ არსებობს. მონაწილეთა შორის ბევრია ისეთი, ვინც სულაც არ ფიქრობს, რომ ცდა ბედის მონახევრეა – ალპები დაიწყო თუ არა, "ნახვამდის" უთხრეს დანარჩენებს და ვაკე და უხიფათო ადგილებს დაუბრუნდნენ. სხვათა შორის, ოთხი ეტაპის მომგებმა ალესანდრო პეტაკიმაც აიკრა გუდა-ნაბადი – მთებში მაჩანჩალად ყოფნას ისევ შინ წასვლა ამჯობინა.

მეორე მთიანი ეტაპი სალანშ – ალპ დუეზი პირველივით საინტერესო გამოდგა. სხვისი არ ვიცი, მე კი ყველაზე უფრო ის მაინტერესებს, გაუჭირდება თუ არა არმსტრონგს წლევანდელი ტურის მოგება და შერჩება თუ არა ძალა მომავალი წლისთვის, უფრო ღიად თუ ვიტყვით, ტურის მეექვსედ მოგებისა და, ფაქტობრივად, ყველა დროის №1 მრბოლად გახდომისთვის.

ეს იდეა თუ იდეა-ფიქსი ამერიკელს შარშან, ტურის მეოთხედ მოგების შემდეგ გაუჩნდა. ყველაფერმა შეჩვევა იცის და ოკეანისგაღმელ სტუმარსაც, როგორც ჩანს, გაუტკბა ტრიუმფალური თაღის ფონზე ყვითელი მაისურით მარიაჟობა.

მართალია, ტარანი თვლით არის, მაგრამ ხანდახან ადამიანები დათვლის საკუთარ სისტემებს იგონებენ. ისე, ვირეშმაკობაც ხერხია, თუმცა, ყოველთვის და ყველასთან არ გადის.

ბარემ პირდაპირ ვიტყვი. ტურ დე ფრანსი სამ მრავალდღიანს შორის ნაღდად ყველაზე პრესტიჟულია, მაგრამ მისი ექვსჯერ მოგება ნამდვილად ვერ გაუტოლდება, ვთქვათ, ჯიროსა და ტურის ხუთ-ხუთჯერ მოგებას. ვფიქრობ, არც უნდა მოგივიდეს აზრად, რომ თავი დააყენო იმ ველომრბოლის გვერდით, რომელსაც ერთ სეზონზე სამჯერ აქვს მოგებული ჯიროც და ტურიც.

ერთი მაგალითი. იმ დიდი ოთხეულის გარდა – ანკეტილი, მერქსი, ინო, ინდურაინი – ბევრმა სცადა ჯიროში გამარჯვების შემდეგ (ჯირო მაისში ეწყობა) ტურის მოგებაც. ყველა ცდა წარუმატებელი გამოდგა. და არა მხოლოდ წარუმატებელი.

ჯიროს შემდეგ ბევრი მათგანი ოცეულს მიღმაც კი აღმოჩნდა. ასე დაემართა ჯიროს ორგზის გამარჯვებულს გოტის, გარცელის და სხვებს. შორს ნუ წავალთ, წლევანდელი ჯიროს ტრიუმფით მოგების შემდეგ, ნახეთ, როგორ ცოდვილობს ჯილბერტო სიმონი. სხვათა შორის, არაბუნებრივი და გასაკვირი ამაში არაფერია. სამი კვირის განმავლობაში მომავალი ჩემპიონი იმდენ ენერგიას ხარჯავს, რომ ნორმალურ ადამიანს მის აღსადგენად თითქმის წელიწადი სჭირდება. მე ის მინდა ვთქვა, რომ არმსტრონგი ნორმალურ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება და სულაც არ არის ვალდებული, საპირისპირო დაუმტკიცოს მსოფლიოს. კარგია, რომ მის გარშემო ყველა და ყველაფერი არმსტრონგის ტურ დე ფრანსზე გამარჯვებისთვის არის მომართული. თორმეტი თვის მანძილზე ყველა და ყველაფერი საიმისოდაა, რომ ივლისის დასაწყისში არმსტრონგმა თავის საუკეთესო ფორმას მიაღწიოს. ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შემინიშნავს, რომ "US პოსტალიდან" თუნდაც ერთხელ და თუნდაც ერთ კაცს თავისი სურვილის მიხედვით ემოქმედოს – რომელიმე ეტაპის მოგება ეცადოს ან, თუნდაც, ერთი გაუბედავი იერიში მაინც წამოეწყოს. წარმოიდგინეთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გუნდს ერთი სპრინტერიც არ ჰყოლია. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ "US პოსტალში" ერთადერთი ველომრბოლი და ერთადერთი ადამიანია. დანარჩენები მისი ყურმოჭრილი ყმები არიან. რა თქმა უნდა, არმსტრონგი დიქტატორია გუნდში და ბოლო წლებში აშკარად ეტყობა, რომ უნდა, ეს დიქტატურა მთელ პელოტონზეც გავრცელდეს. ამერიკელს არასვენებს ის, რომ იმ დიდი ოთხეულის ავტორიტეტი უკლებლივ ყველა, ორას კაცზე ვრცელდებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ საამისოდ წელიწადში ერთადერთი ტურნირის მოგება, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის.

მაინც რატომ იკავებს თავს არმსტრონგი ტურის წინ ჯიროზე ან ტურის შემდეგ ვუელტაზე გამოსვლისგან? სულ უბრალო მიზეზის გამო: მისი მომზადების წესი და მეთოდი (ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს მეთოდები აკრძალვების ზღვარს გვარიანად სცილდება) ამის საშუალებას არ იძლევა. ამასაც გაიგებდა კაცი, მაგრამ იმათ თავზე გადახტომის სურვილი, ვისაც ერთ ადგილამდეც ვერ სწვდები, ასე აშკარად და მართლა ვირეშმაკულად არ უნდა გამოხატო.

არ შეიძლება, ადამიანს მარტო იმიტომ სცემდე პატივს, რომ კარგად აგორებს ბურთს ან მოხერხებულად იქნევს ჩოგანს. პატივისცემის დამსახურებას თვისებების მთელი კომპლექსი სჭირდება.

ახლა მკითხველის მოთმინებით ვისარგებლებ და რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

2001 წელს ველორბოლის ბოსების (აქაც არიან ასეთები) მიერ შერისხული მარკო პანტანი ორწლიანი იძულებითი უმოქმედობის შემდეგ ჯერ ჯიროში ცდის ძალებს, მერე კი ტურში. რა თქმა უნდა, არც ერთის და არც მეორის მოგების არც იმედი და, რაც მთავარია, არც პრეტენზია მას არ ჰქონია. მაგრამ ეს კაცი მაინც გამორჩეული კაცია ველოსპორტში. სხვათა შორის, ის ერთადერთია იმ ოთხეულს გარდა, ვინც ერთ სეზონზე მოახერხა ჯიროსა და ტურის მოგება და ვისაც მთებში თვით ინდურაინიც უწევდა ანგარიშს.

პირენეებში ორიათასმეტრიან მონ ვენტუზე დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ პანტანიმ სულ რაღაც ერთი მეტრით აჯობა წინა წლის გამარჯვებულ არმსტრონგს. ამერიკელმა, ეტყობა, იუკადრისა თუ პატივმოყვარეობის შელახვად მიიჩნია ეს ფაქტი და ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, ეს გამარჯვება მე დავუთმე პანტანისო. სათქმელია ისიც, რომ იმ დღეს ამ ორმა ველომრბოლმა უკან ჩამოიტოვა იან ულრიხიცა და ხოსება ბელოკიც.

პანტანის პროტესტი არ გამოუთქვამს და როცა პელოტონი პირენეებიდან ალპებში გადავიდა, იქ გასცა პასუხი. მცირე განსხვავებით: ეტაპი ზუსტად ემთხვევა ჩვენს საანგარიშო ეტაპს. 2600-მეტრიანი კალიბიერისა და კიდევ ერთი ორიათასიანის გადავლის შემდეგ ფინიში კურშევალის უღელტეხილით მთავრდებოდა. ისიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზე იდო. დუელი მთის ძირშივე დაიწყო. მარკო პანტანი, ცხადია, მარტო იყო, არმსტრონგს კი ვუელტას ყოფილი ჩემპიონი, ამერიკულ ფულს დახარბებული და "US პოსტალში" გადაბარგებული რობერტო ჰერასი – პირადი მცველი და ყურმოჭრილი ყმა ახლდა თან. დუელი, თუ ამას დუელი ჰქვია, "ილ პირატას", ესე იგი, მარკო პანტანის სრული გამარჯვებით დასრულდა.

1996 წელს ბიარნე რიისის, 97-ში იან ულრიხისა და 98-ში მარკო პანტანის ტურ დე ფრანსში გამარჯვებების მომდევნო, 99 წელს არც ერთი მათგანი მონაწილეთა შორის აღარ იყო. რიისმა დაასრულა კარიერა, პანტანი, როგორც უკვე ვთქვით, ველოსპორტის ბოსებმა, კაცმა არ იცის, რისთვის მოკვეთეს ჯერ ჯიროდან და მერე ტურიდანაც, ულრიხმა კი სულ რაღაც ორი კვირით ადრე ტრავმა მიიღო. გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატი ვუელტას ორჯერ მომგები და ტურ დე ფრანსის მეორე პრიზიორი (თვით ინდურაინის შემდეგ) შვეიცარიელი ალექს ძულე იყო. მთებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და ერთ-ერთი ვაკე-ეტაპის ავარიის შემდეგ (მოსახვევში რომელიღაც ველომრბოლი დაეცა) პელოტონი ორ ნაწილად გაიყო. წაქცეული სპორტსმენის უკან მონაწილეთა საკმაოდ მცირე რაოდენობა აღმოჩნდა. მათ შორის იყო ძულეც. იმათ, ვინც თვალს ადევნებს ტურსა და მის მსგავს შეჯიბრებებს, კარგად იციან, რომ პელოტონი მხოლოდ ფინიშის სიახლოვეს აჩქარდება ხოლმე, ისიც იმ შემთხვევაში, როცა გაქცეულებს მისდევს. უნდა გენახათ, რა ჩურჩხულ-მოლაპარაკებები ატყდა ფავორიტი გუნდების კაპიტნებს შორის. ცოტა ხნის შემდეგ ნათელი გახდა ამ მოლაპარაკების შედეგი. ჩვეულებრივი ამბავია, როცა პელოტონის თავში რომელიმე გუნდის ხუთი ან ექვსი კაცი ერთიმეორეს ცვლის და ასე ცდილობს ტემპის შენარჩუნებას, მაგრამ არასდროს მინახავს, პელოტონის თავში ორმოცი (!) ველომრბოლს ემუშაოს. მთელი ამ საქმის მთავარი წამომწყები ერთ-ერთი ფავორიტი აბრაჰამ ოლანო და მაშინ მომავალი, ახლა კი ოთხგზის ჩემპიონი ლანს არმსტრონგი იყვნენ. ცხადია, დამხმარეების გარეშე დარჩენილი, საკმაოდ გულგრილ და მცირერიცხოვან გარემოში აღმოჩენილი ძულე ბევრს ეცადა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამ უსინდისო შეთქმულების მსხვერპლად იქცა. ერთ ჩვეულებრივ ვაკე-ეტაპზე, სადაც ლიდერები, როგორც წესი, არაფერს არც იგებენ და არც აგებენ, შვეიცარიელმა 6 წუთი (!) წააგო. უკვე შემდეგ, მთებში, ძულე ოლანოსა და დანარჩენებსაც იოლად გაუსწორდა, მაგრამ ამერიკელთან ამ სხვაობის განეიტრალება ვეღარ შეძლო.

ახლა, უნდა დამძრახოს მკითხველმა, უნდა ნუ დამძრახავს, მე ჩემი სათქმელი ვთქვი. მე ამ კაცის პატივისცემას ვერც ექვსგზის და ვერც ათგზის ჩემპიონობა ვერ მაიძულებს. მით უფრო, როცა დღესაც ვხედავ ადამიანებისადმი მის დამოკიდებულებას. წლევანდელი ტურის პირველ ეტაპზე ანუ პროლოგში, "US პოსტალის" ახალმა წევრმა, კოლუმბიელმა ვიქტორ პენამ წამით აჯობა თანაგუნდელსა და ოთხგზის ჩემპიონს. გუნდური რბოლის შემდეგ ამერიკელთა თითქმის მთელი გუნდი თავში მოექცა ორასკაციან სიას, ახალგაზრდა კოლუმბიელს კი ლიდერის ყვითელი მაისურა ხვდა წილად. ყველაფერი ხდება ტურ დე ფრანსში, ყველაფერი შეიძლება ნახო კაცმა, მაგრამ არსად და არასდროს თვალიც არ მომიკრავს, არც კი გამიგონია, ყვითელი მაისურის მფლობელს მეთულუხჩედ ემუშაოს. საქმე ის არის, რომ პელოტონს უკან მისდევს ავტომობილების მთელი ქარავანი – მწვრთნელებით, გუნდის დირექტორებით, ექიმებით, ტურის ორგანიზატორებითა და სამარქაფო ველოსიპედებით დატვირთული. ივლისში ექვსი საათი პედლების ტრიალი აქლემსაც კი მოაწყურებს წყალს. დაკარგული სითხის აღსადგენად მთელმა გუნდმა რომ არ ირბინოს წინ და უკან, თითოეული გუნდიდან თითო კაცი ჩამორჩება ხოლმე პელოტონს, სავსე ბოთლებით დაიტვირთება – ზოგს მაისურაში ჩაიწყობს, ზოგს – ჯიბეებში, ზოგსაც ველოსიპედზე დაამაგრებს და უკან, პელოტონში მობრუნებული, თანაგუნდელებში დაარიგებს. აი, ამ წყლის მომტანი ბიჭების როლში ძირითადად ისინი არიან, ვისგანაც არაფერს ელიან. ყვითელი მაისურის მფლობელის, ესე იგი, ლიდერის, როგორც ზევით ვთქვი, მეთულუხჩედ დაყენება თვით ტურ დე ფრანსის ყველაზე ნაღდი სიმბოლოს შეურაცხყოფაა. არმსტრონგის აზრით, ყვითელი მაისურა, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა მის კეთილშობილ სხეულს მოსავს. ვიქტორ პენა კი ვიღაც კოლუმბიელია და მეტი არაფერი.

მაგრამ მუდმივი არაფერია ამქვეყნად და, როგორ ცუდადაც უნდა ჟღერდეს ჩემი ეს ნათქვამი, მოთმინებით დაველოდები იმ დროს, როცა ვინმე უფრო ღირსეული მრავალგზის ჩემპიონს საბოლოოდ გააძრობს ამ კაშკაშა მაისურას. არ ვიცი, გაუჭირდება თუ არა არმსტრონგს წლევანდელი ტურის მოგება, მაგრამ საამისო ნიშნები უკვე გამოჩნდა. ჯერჯერობით ეტაპის გამარჯვებულთა შორის მისი სახელი არ არის. არმსტრონგმა ორივე სამთო ეტაპი წააგო, საანგარიშო ეტაპზე კი, გარდა იმისა, რომ დიდი ბასკის – ინდურაინის შთამომავალმა იბან მაიომ ორ წუთზე მეტი მოუგო, ფინიშს საკმაოდ მოზრდილ კამპანიაში უწია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთბაშად ამდენი ბრწყინვალე სპორტსმენი გამოჩნდა. ეს უფრო იმის მიმანიშნებელია, რომ შორს აღარ არის ერთი საკმაოდ უსიამო დიქტატურის დასასრული.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩის და ლონდონის "ჩელსის" პირველი დიდი შენაძენი, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ნახევარმცველი, ხუან სებასტიან ვერონი უნდა გახდეს. ძნელი სათქმელია, დევიდ ბექჰემის გაყიდვის შემდეგ რამ გადააწყვეტინა "მანჩესტერს" ვერონის გაყიდვა, მაგრამ, ინგლისური სააგენტოების მიხედვით, წინასწარი შეთანხმება კლუბებს შორის უკვე მიღწეულია. ვერონის ყიდვა აბრამოვიჩის ჯიბეს 14 მილიონი გირვანქით შეამსუბუქებს.

■ ■ ■

**რაგბი.** უქმეებზე თბილისსა და ბათუმში გამართულმა ნახევარფინალის განმეორებითმა შეხვედრებმა საქართველოს თასის გათამაშების ფინალისტები გამოავლინა. ვარკეთილში თბილისის "ლოკომოტივმა" მეორე მატჩშიც აჯობა "აკადემიას", თუმცა ამჯერად შედარებით მოკრძალებული სხვაობით – 31:16. ბათუმში კი "დათვებმა" მძიმე ბრძოლაში 15:10 დაამარცხეს ქუთაისის "აია" და ერთი კვირის წინანადელი ერთქულიანი სხვაობით მარცხისთვის რევანში აიღეს. ფინალური მატჩი მომავალ კვირას გაიმართება თბილისში. მართალია, შეხვედრის ზუსტი ადგილი ჯერჯერობით არაა დაზუსტებული, მაგრამ, ვინაიდან თასისთვის ბრძოლაში "დათვებს" "ლოკომოტივი" დაუპირისპირდება, გამორიცხული არაა, მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართოს.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** ჩვენი დროის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ, გარი კასპაროვმა, ხელოვნურ ინტელექტთან შედარებით, ადამიანის ტვინის უპირატესობის დამტკიცება კიდევ ერთხელ გადაწყვიტა. ნოემბერში ის რიგით მესამე შეხვედრას გამართავს კომპიუტერთან. წინა ორი შეხვედრიდან ერთი ფრედ დასრულდა, მეორე კი - მანქანის გამარჯვებით. "თუ კიდევ ერთხელ დავმარცხდი, ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა დაკარგა ძალაუფლება მანქანაზე", - განაცხადა კასპაროვმა.

■ ■ ■

**წყალში ხტომა.** საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს მე-10 ჩემპიონატზე ბარსელონაში წყალში მხტომელთა საუკეთესო სამეულები გამოვლინდა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ჩემპიონატის ოქროს მედლებს რუსები დაეუფლნენ. კერძოდ, გამარჯვება ალექსანდრ დობროსკოკისა და დმიტრი საუტინის წყვილმა მოიპოვა. მეორეზე ჩინელების – ტიანლინგ ვანგისა და ფენგ ვანგის ტანდემია, ხოლო მესამეზე გერმანელთა დუეტი ანდრეას ფელსი და ტობიას შლენბერგი.

გარკვეულ წარმატებას რუსმა ქალებმაც მიაღწიეს. 10-მეტრიანი კოშკურიდან სინქრონულად ხტომაში ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა ევგენია ოლშევსკაიასა და სვეტლანა ტიმოშინინას წყვილი; ოქროს მედლები კი ჩინელებმა - ლიში ლაომ და ლი ტინლიმ დაისაკუთრეს; ავსტრალიელებმა ლუდი ტურკიმ და ლინდა ტაკივმა მათ შორის დაიკავეს ადგილი.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** 29 წლის ცნობილმა ზიმბაბველმა ჩოგბურთელმა, უეინ ბლეკმა წყვილთა თანრიგში WTA Tour-ის სამი ტიტულის მფლობელ ყაზახეთის პირველ ჩოგანზე, 23 წლის ირინა სელიუტინზე იქორწინა.

■ ■ ■

**ცურვა.** საწყლოსნო სახეობათა ბარსელონას მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი მოცურავე გამოაკლდა - 17 წლის ბელორუსი მოცურავე ალექსანდრა გერასიმოვნა უმთავრესი ასპარეზობებიდან მოხსნეს. როგორც ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) შტაბბინიდან ბელორუსიის ეროვნულ ფედერაციის მოხელეთ ამცნეს, გერასიმოვნასთვის ივნისის ბოლოს მინსკში A და B სინჯების აღებისას აკრძალულ პრეპარატ ნორანდროსტერონზე დადებითი შედეგი აღმოაჩნდა.

ცურვის საერთაშორისო ფედერაციის სადოპინგო კომისიის სხდომა, სადაც ბელორუსი მოცურავის დასჯის საკითხს განიხილავენ, 23 ივლისს შედგება ბარსელონაში.



## ამბები

### სვანეთის კულტურის დღეები იმერეთში

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით ქუთაისში სვანეთის კულტურის დღეები გაიმართება. როგორც მესტიის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ვახტანგ ფილფანმა განაცხადა, ქუთაისში უძველესი სვანური კულტურის ნიმუშებს მესტიისა და ლენტეხის ფოლკლორული ჯგუფები წარმოადგენდნენ, მოეწყობა ძველი ხალხური რეწვის ნიმუშთა გამოფენა.

ფილფანის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ქუთაისელები იხილავენ, ძველი სვანური სახლის – "მაჩუბის" ატრიბუტიკა: სვანური ხის მოჩუქურთმებული სკამები და საოჯახო ნივთები იქნება. "მაჩუბი" სვანურ საცხოვრებელ სახლს ერქვა, რომელშიც დაახლოებით 30-სულიანი ოჯახები საქონელთან ერთად ცხოვრობდა. სვანეთის კულტურის დღეების ფარგლებში მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმის რამდენიმე ნივთიც გამოიფინება. სვანეთის კულტურის დღეები ქუთაისში ზაფხულის ბოლოს გაიმართება. შარშან ქუთაისმა სამეგრელოს კულტურის დღეებსაც უმასპინძლა. **მედია-ნიუსი**

### ფილმი დახვრეტილ მხატვარზე

1937 წელს რეპრესირებული ახალგაზრდა მხატვრის პეტრე ოცხელის ხსოვნას მიეძღვნა დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით "ჩემი ბიძა - პეტრე ოცხელი", რომელიც "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით რეჟისორმა დავით ჩუბინაშვილმა გადაიღო. 1937 წელს პეტრე ოცხელი 29 წლის ასაკში სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დახვრიტეს. ფილმი დოკუმენტურ-ბიოგრაფიული ხასიათისაა და მასში მხატვრის ახლო ნათესავი, მარინე ოცხელი მაყურებელს პეტრე ოცხელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამბობს.

პეტრე ოცხელმა თბილისის, ქუთაისისა და მოსკოვის სხვადასხვა თეატრის სცენაზე დადგმული 22 სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა და რამდენიმე ფერწერული ტილო შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ 1938 წელს ლონდონში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მოსკოვის "დიდ თეატრში" დადგმულ სპექტაკლში "დიდებას" ოქროს მედალი - სწორედ საუკეთესო მხატვრული გაფორმებისთვის მიენიჭა. მაშინ სპექტაკლის მხატვრის - პეტრე ოცხელის სახელი და გვარი არც გამოცხადებულა, რადგან იგი უკვე დახვრეტილი იყო.

პეტრე ოცხელის ნამუშევრები ამჟამად ალექსანდრე ვახრუშინის სახელობის მოსკოვის თეატრალურ მუზეუმშია დაცული. **მედია-ნიუსი**

### ქურდების მეჯლისზე

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი ფოთსა და ბათუმში საგასტროლოდ მიემგზავრება. დასი დასავლეთ საქართველოს ამ ორ ქალაქში რამდენიმე სპექტაკლს წარმოადგენს. ფოთელი და ბათუმელი მაყურებელი ახალ სპექტაკლს "ქურდების მეჯლისს" იხილავს. ამ სპექტაკლის პრემიერა თელავის თეატრში ერთი თვის წინათ გაიმართა. ის რეჟისორმა გოგი ჩაკვეტაძემ ჟან ანუის პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მთავარ როლებს შოთა ბეჟუაშვილი, ნათია გიგოლაშვილი და ზვიად აბაშიძე ასრულებენ.

"ქურდების მეჯლისის" პრემიერამ თელავში წარმატებით ჩაიარა. ვანო იანტბელიძე იმედოვნებს, რომ ფოთსა და ბათუმში თელავის დასის გასტროლები წარმატებული იქნება. დასი დასავლეთ საქართველოში ივლისის ბოლოს მიემგზავრება. **მედია-ნიუსი**

### გაქცევა ჩინეთის წყლის ციხიდან

ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია საზოგადოების გაოცებას კიდევ ერთხელ შეეცდება. იგი ამერიკელი ილუზიონისტის ჰარი გუდინის მიერ 75 წლის წინათ შესრულებულ ტრიუკს - "გაქცევა ჩინეთის წყლის ციხიდან" - საკუთარი ინტერპრეტაციით გაიმეორებს.

როგორც ქართველმა ილუზიონისტმა განაცხადა, გუდინის მიერ გამოგონილი ამ ტრიუკის გამეორება მას შემდეგ ერთმეტმა ილუზიონისტმა სცადა. ვადაჭკორია ტრიუკის ჩატარებას ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის ეზოში აპირებს. ღია ცის ქვეშ, დაახლოებით, ორი მეტრი სიღრმის შუშის აკვარიუმი დაიდგმება, რომელშიც ხელ-ფეხზე ბორკილებდადებულ ვადაჭკორიას ყველას თვალწინ ჩაუშვებენ. იგი ბორკილებიდან თავის დაღწევას რამდენიმე წამში შეეცდება. როგორც თავად ამბობს, ტრიუკის წარუმატებლობის შემთხვევაში მას დახრჩობა ემუქრება. ამიტომ ილუზიონისტი ტრიუკის შესასრულებლად დიდი ხანია გულმოდგინედ ემზადება. მისი თქმით, ახალი ტრიუკი 26 მაისს მდინარე მტკვარზე შესრულებული ტრიუკისაგან განსხვავებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ წინა ტრიუკის შესრულებისას მაყურებლისთვის საიდუმლოდ დარჩა, თუ როგორ შეძლო მან ბორკილებისაგან თავის დაღწევა. ამჯერად, ზურაბ ვადაჭკორია ბორკილებისგან გათავისუფლებას მაყურებლის თვალწინ ეცდება. "ილუზიონისტის ნომრის სანახავად მისული მაყურებელი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მას ატყუვებენ. ჩვენი ხელოვნება იმიტომ არსებობს, რომ საზოგადოება გააოცოს. ხალხის გაოცებას კი ილუზიონისტი თავისი საიდუმლოებებით ახერხებს, რომელიც არასდროს მჟღავნდება", - ამბობს ზურაბ ვადაჭკორია. ილუზიონისტი ტრიუკს 16 ივლისს 23.00 საათზე ღია ცის ქვეშ შეასრულებს. **მედია-ნიუსი**

# მაესტროს ცხოვრების სიმფონია

## ოდისეი დიმიტრიადი 95 წლისაა

სოფიო პეტრიაშვილი

*"ყველაზე მნიშვნელოვანი დირიჟორისათვის - ესაა ცოცხალი კონტაქტის გრძნობა ორკესტრსა და მაყურებელს შორის, ის მათი გამაერთიანებელი ძაფია, მათი ემოციური მდგომარეობის ბარომეტრი"... ასეთი არის დიდი ბერძენი და დიდი ქართველი მაესტროს, ოდისეი დიმიტრიადის სიტყვები, რომლისთვისაც ცხოვრებისა და შემოქმედების ცნება ერთმანეთისაგან განუყოფელია და ის თავად გახლავთ ადამიანის უმაღლესი დანიშნულების სრული გამოხატულება.*



ოდისეი დიმიტრიადი 95 წლისაა



**- მაესტრო, რა განწყობილება გაქვთ ახლა, როდესაც მუსიკალური ხელოვნების საყოველთაო მეტრად ხართ აღიარებული?**

- ჩემ ასაკში განწყობილება მხიარული ვერ გექნება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ პროცესებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. რაც შეეხება ჩემი ცხოვრების განვლილ გზას, ვერასოდეს გავიფიქრებდი ამდენ წელს თუ მივაღწევდი, ღმერთს ყველაფრისთვის მადლობას ვწირავ! მუდამ ვცდილობდი ყოველი წამი მთლიანად მეცხოვრა, ბოლომდე დავხარჯულიყავი. ვთვლი, რომ გამიმართლა, ჩემი ხელოვნება რომ დაინახეს, დააფასეს და შეიყვარეს.

**- ბათუმი ამაყობს იმ ფაქტით, რომ თქვენ იქ დაიბადეთ; ალბათ ეს თქვენი საყვარელი ქალაქია და მასთან ლამაზი მოგონებები გაკავშირებთ.**

- ნამდვილად მეამაყება, რომ იქ დავიბადე (ისევე როგორც ჩემი უსაყვარლესი მომღერალი - დავით ანდღულაძე) და სიყმაწვილეც იქ გავატარე. არაჩვეულებრივი ქალაქია, უძველესი ტრადიციებითა და ულამაზესი ბულვარით, ჩვენი გიმნაზიაც იქვე იყო, ზღვის პირას, საკლასო ოთახი პირველ სართულზე გვქონდა და როგორც კი ამინდი გამოვიდოდა, საბანაოდ ზღვაში პირდაპირ ფანჯრიდან ვხტებოდით.

ათი წლისამ ვიოლინოზეც იქ დავიწყე სიარული, ჩემი და ლიზა კი ფორტეპიანოზე უკრავდა, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ის შეუდარებელი პიანისტი იყო, მისგან გადამედო მუსიკის სიყვარული და ფორტეპიანოზე დაკვრაც მან შემასწავლა. მხოლოდ ექვსი წლით იყო ჩემზე უფროსი, ჩვიდმეტი წლისა გამოგვეცალა ხელიდან, ალბათ ჩემ ცხოვრებაში პირველი სერიოზული დარტყმაც ეს იყო. მისი ნიჭის შემხედვარეს მთელი ცხოვრების მანძილზე უკვე აღარავის ნიჭი არ გამკვირვებია, დღემდე მგონია, რომ მან, ასე ადრეულ ასაკში გარდაცვლილმა, მუსიკის სიყვარული ანდერძად დამიტოვა.

შემდეგ უკვე თხუთმეტი წლისა, ბათუმში ჩამოტანილ მუნჯურ ფილმებს "ვახმოვანებდი" მუსიკალურად. დღესაც თვალწინ მიდგას იმ ფილმების კადრები, ვცდილობდი შესაფერისი მელოდიით გადმომეცა ყოველი მათგანის შინაარსი თუ ხასიათი. ამის გამო ირგვლივ აღფრთოვანებულები იყვნენ ჩემით, მაქებდნენ და მეც სიხარულით თავბრუდახვეული დავდიოდი.

**- მშობლებზე რას გაიხსენებდით?**

- მამა აქილევს დიმიტრიადი კომერსანტი გახლდათ, ცუდად არ ვცხოვრობდით, მაგრამ მაინც გვიჭირდა, დიდი ოჯახი გვქონდა, და-ძმანი სულ რვანი ვიყავით, მათ შორის მე ყველაზე პატარა.

როდესაც გიმნაზიაში შემიყვანეს, ჩემი დის ძველი პალტო ჩამაცვეს; სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერაფერს გავხდი, ბიჭისათვის შესაფერისი ჩასაცმელი არ გაგვაჩნდა და მეც ისლა დამრჩენოდა, ტირილით მეჯერა გული...

როდესაც დავიბადე, ძველი სტილით 24 ივნისი იყო, იოანე ნათლისმცემლის დღე და დედამაც იოანე, ბერძნულად იანისი დამარქვა. ამ დროს მამა სავაჭროდ იყო წასული და როდესაც დაბრუნდა, ოჯახის უფროსის უფლებით ისარგებლა და სასწრაფოდ სახელი შემიცვალა.

საერთოდ ყველაფერი ნათელი ჩემს ბავშვობასთანაა დაკავშირებული, ალბათ იმიტომ, რომ ოჯახში ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. სამწუხაროდ, ეს დიდხანს არ დაგვცალდა, მალე მამას საქართველოდან გადახვეწა მოუხდა, ნაწამებმა საბერძნეთში ძლივს ჩააღწია, ხოლო როდესაც ჩემი ძმა, რომელიც ეპილეფსიით იყო დაავადებული, გარდაიცვალა, დედაც მათთან წავიდა. მამას ამის მერე დიდხანს აღარ უცოცხლია და დედაჩემიც ომის დროს, მარტო, შიმშილით გარდაიცვალა.

მშობლების საფლავების ნახვა მხოლოდ 1964 წელს შევძელი, როდესაც პირველად ჩავედი საბერძნეთში, ერთბაშად უდიდესი ტკივილი და შვება ვიგრძენი...

ჩვენი ბათუმში ერთად ცხოვრების იმ ბედნიერი პერიოდის სურათი შემომრჩა, მახინჯაურში, აგარაკზე გადაღებული, ჩემ მშობლებთან და ძმებთან, ნიკიფორთან და კოლიასთან ერთად; ნიკიფორი სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა, კოლია კი საკმაოდ ცნობილი ბათუმელი ფეხბურთელი იყო.

**- თქვენ როგორი ფეხბურთელი იყავით? მე ვნახე თქვენი ცნობილი ფოტოსურათი, სადაც ოპერის თეატრის სხვა სახელოვან წარმომადგენელთა შორის თქვენც საფეხბურთო ფორმაში ხართ გამოწყობილი.**

- ჩემი ძმის მერე, ამ მხრივ დიდად ვერაფრით დავიკვეხნიდი. ოპერის თეატრს საკუთარი გუნდი ჰყავდა: პეტრე ამირანაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, ევგენი მიქელაძე და მე ერთად ვთამაშობდით ხოლმე. გუნდიც ევგენი მიქელაძის წყალობით ჩამოყალიბდა. ის იყო ამის სულისჩამდგმელი; ყველაზე ცუდად თვითონ თამაშობდა, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხდა და მოითხოვდა ხოლმე, ბურთი მისთვის მიგვეცა, ძალიან უყვარდა ამ დროს განკარგულების გაცემა.

**- ევგენი მიქელაძის გარდა, კიდევ ვის გამოარჩევდით თქვენი მეგობრებიდან?**

- ბედნიერი ვარ თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტით, რომ მიქელაძის თანამედროვე ვიყავი. ჟენია უნივერსალური ადამიანი იყო; ის მაშინ გავიცანი, როცა სრულიად მარტო ვიყავი და მხარდამჭერი და გულშემატკივარი, ფაქტობრივად, არავინ მყავდა. ის ერთადროულად ჩემი მეგობარიც იყო, მოძღვარიც და დამრიგებელიც, მას ამ დროს უკვე მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იცნობდნენ. თავად ჩვენი კერპი და სათაყვანებელი პიროვნება დიმიტრი შოსტაკოვიჩი ემოციებს ვერ მალავდა, როდესაც ევგენიზე ლაპარაკობდა. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ მომიტრიალდა და მითხრა: "დაიმახსოვრე, სულ მალე მას ტოლი არ ეყოლებაო"... და წარმოგიდგენიათ? 35 წლის ასაკში გაანადგურეს. რისთვის? მას მუსიკისა და ხელოვნების გარდა ამ ქვეყნად არაფერი აინტერესებდა.

ასევე ზურაბ ანჯაფარიძე მინდა გავიხსენო, ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობარი, ყველაზე საყვარელი მომღერალიც სწორედ ის იყო. საოცარი სულიერი თვისებების მქონე ადამიანი, მიუხედავად ოცწლიანი ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ შორის ბარიერი არ არსებობდა იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო ის, როგორც პიროვნება. იგი უბადლო ტენორი გახლდათ. ჩვენ ბევრი სპექტაკლები ჩავატარეთ ერთად: მილანის გასტროლები, ათენი, მთელი ევროპა შემოგვივლია. განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩაიკოვსკის "პიკის ქალს", ის ბრწყინვალე გერმანი იყო, მაშინ ბევრი შესანიშნავი მომღერალი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას ამ პარტიაში, მათ შორის იყო პიჩკოვსკიც, მეტად შთამბეჭდავი ტენორი. მაგრამ ზურიკო მაინც ყველას სჯობდა. ის იყო თავისთავადი და ძალიან მაღალი, ასე რომ სხვა დანარჩენი მომღერლები თავისდაუნებურად ქედს იხრიდნენ მის წინაშე.

**- ახლა რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?**

- ცხოვრებაში ყველა სურვილი ამიხდა, თვით ისეთი, ერთ დროს მათი გაფიქრებაც კი შეუძლებლად რომ მეჩვენებოდა. მიუხედავად ბევრი მძიმე წუთებისა, ხელოვნება მეხმარებოდა ყველაფერი დამეძლია და ყველა ტკივილს გავმკლავებოდი. ჩემი პროფესია ერთადერთი ანესთეზია იყო ყველა იმ უბედურებისა, რაც კი ოდესმე გადამიტანია.

ახლა ჩემი სურვილი მხოლოდ ისაა, ნათელი ცხოვრება იყოს ყველგან და განსაკუთრებით საქართველოში. გული მიკვდება, როცა ჩემს ქვეყანას ასეთ გაჭირვებაში ვხედავ.

**- თქვენ უდიდესი ტრაგედია გადაიტანეთ, დაკარგეთ უფროსი ვაჟიშვილი პარისი, მაგრამ თქვენ გვერდით არიან თქვენი შვილები ნანა, ორესტე, შვილიშვილები.**

- პარისი ჩემი გაუნელებელი ტკივილია, მასზე ფიქრი მუდამ თან მდევს, ის ყოველდღე, ყოველთვის ჩემს გვერდითაა, არ არსებობს ერთი წამიც კი, მასზე არ ვფიქრობდე. არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემების პატრონი იყო, საოცრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი. რომ დასცლოდა, შეიძლება ჩემზე ბევრად უკეთესი დირიჟორი და მუსიკოსი გამოსულიყო. მასში განსაცვიფრებელი მუსიკალური კოდი იდო, მაოცებდა ასევე მისი ენერგია, ის არასოდეს იღლებოდა... ახლა კი მე აქ ვზივარ, ჩემს სავარძელში (როგორც ყოველთვის) მისი სურათების პირდაპირ, მას ვუყურებ და როცა სახლში არავინ არის, ვესაუბრები ხოლმე. პარისი – ჩემი გულია...

ნანა, ჩემი ქალიშვილი შესანიშნავი პიანისტია, უმცროსი ვაჟი ორესტე კი ქიმიკოსი. თუმცა, ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ისიც იშვიათი მუსიკალურობით გამოირჩეოდა, საერთოდ ნიჭიერი ოჯახი გვაქვს, მაგრამ ის (*პარისის სურათისკენ იხედება*) ყველასგან გამორჩეული იყო.

**- თქვენ ქართულ კულტურას ჯანსუღ კახიძე აღუზარდეთ...**

- ჯანსუღი არა მარტო ჩემი მოსწავლე, არამედ ჩემი აღმოჩენაც გახლდათ. თავიდან ის ქორმეისტერი იყო, ერთხელ მის მუშაობას დავესწარი საქართველოს კაპელასთან, იმდენად მომეწონა, რომ მაშინდელ კულტურის მინისტრს დავით ჩხიკვიშვილს, თხოვნით მივმართე, სადირიჟორო კლასის გახსნაში დამხმარებოდა.

ჯანსუღთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო, მას სწავლა უყვარდა, თავდაუზოგავად შრომობდა და ეს თვისება სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს. ყოველი მისი გამარჯვება, ჩემი გამარჯვება იყო და ყოველი მისი წარმატება გულს მიხარებდა. არ შემიძლია არაფერი ვთქვა მისი არაჩვეულებრივი ოჯახის შესახებ. დედა, მამა, ძმა, პირდაპირ შეყვარებულნი იყვნენ სიმღერაზე, მთელი ოჯახი მღეროდა, საუკეთესო ხმები ჰქონდათ.

**- რომელია თქვენი საყვარელი ნაწარმოები?**

- თუკი ჩემი ცხოვრების მანძილზე რომელიმე სპექტაკლისთვის ან სხვა რომელიმე ნაწარმოებისათვის მიდირიჟორია, ჩემთვის ყველა ნამდვილად ძალიან ძვირფასია. თუმცა, განსაკუთრებით "აბესალომ და ეთერი" მიყვარს, "პიკის ქალი", "ევგენი ონეგინი", ვერდის ოპერები – "ტრავიატასა" და "აიდას" ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვდირიჟორობდი.

ასევე მინდა აღვნიშნო ჩაიკოვსკის სიმფონიები, განსაკუთრებით VI სიმფონია, ის პირველად ჩემი ვაჟის გარდაცვალების შემდგომ შევასრულე, ვფიქრობ ეს ნაწარმოები დამეხმარა კვლავ "მკვდრეთით აღვმდგარიყავი" და ცხოვრება გამეგრძელებინა... ძალიან მომწონს ბერლიოზის "ფანტასტიკური სიმფონია" და რაღა თქმა უნდა, ბეთჰოვენის სიმფონიები V და IX. IX სიმფონიით – მართალაც რომ, შეპყრობილი ვიყავი. მიუხედავად დიდი ტრიუმფისა, დღემდე არ ვარ კმაყოფილი ჩემი თავის, ასე მგონია ბოლომდე ვერ შევიგრძენი, ვერ დავიპყარი ეს ნაწარმოები. ძნელი იყო იყო მისი შესრულება, ძალიან ძნელი, ცხოვრებასავით.

# იმპროვიზაციების ოსტატი

## გარდაიცვალა 95 წლის ჯაზის პიონერი

ნათია გაგნიძე

*კვირას ლოს ანჯელესში, სიდარს სინაის საავადმყოფოში ორკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ ბენი კარტერი გარდაიცვალა. ჯაზის ცნობილი პიონერი, კლარნეტისტი, საქსაფონისტი, მესაყვირე და პიანისტი, ასევე ბევრი ცნობილი არანჟირების ავტორი, რომლის შემოქმედებასაც მსოფლიო საზოგადოება ჰოლივუდის ფილმების წყალობითაც იცნობდა; სვინგის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, ელინგტონისა და გუდმანის ორკესტრების მუსიკის არანჟირების ავტორი, ჯაზის პიონერი 95 წლის იყო.*



ბენი კარტერი

"ჩვენ მას მეფეს ვუწოდებდით. ის იყო ჩვენს შორის ყველაზე პატივცემული მუსიკოსი", - იხსენიებს მესაყვირე კლარკ ტერი; "ჩვენგან წავიდა დიდებული პიროვნება, უდიდესი ადამიანი", - კარტერის მეგობარმა და პროდიუსერმა ქუინსი ჯონსმა ეს სიტყვები გუშინწინ, მუსიკოსის გარდაცვალების დღეს თქვა.

ბენი კარტერის შემოქმედებას მხოლოდ ჯაზის მოყვარულები როდი აფასებდნენ. ეს მუსიკოსი ძალიან ხშირად სტუმრობდა თეთრ სახლს: უკრავდა მისი მოგვარე პრეზიდენტისთვის, ჯიმი კარტერისთვის; 1984 წელს ხელმძღვანელობდა ორკესტრს რონალდ რეიგანის ინაუგურაციაზე; 1989 წელს დაუკრა ჯორჯ ბუში უფროსისთვის, მოგვიანებით კი სცენაზე გამოვიდა თეთრი სახლის ახალ მეპატრონესთან ბილ კლინტონთან ერთად. ერთი სიტყვით, კარტერი თეთრ სახლში ფრიად მიღებული ადამიანიც იყო.

1982 წელს მუსიკოსის 75 წლისთავზე ნიუ იორკის ერთ-ერთი რადიოსადგური ამ თარიღის აღსანიშნავად, კარტერის მუსიკას 177 საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ გადასცემდა. ბენი კარტერი მფლობელია ყველა თვალსაჩინო მუსიკალური რეგალიისა, მათ შორისაა სამი გრემი. "გრამოფონები" კარტერს ჯაზის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიანიჭეს.

ბენი კარტერის სერიოზული მუსიკალური კარიერა სამოცდაათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მისი შემოქმედებითი კარიერა დაკავშირებულია ჯაზის თითქმის ყველა სახელმოხვეჭილ და ლეგენდარულ შემსრულებელთან. უკრავდა ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც იყვნენ: ვილი სმიტი, მაილს დევისი და დიზი გილესპი. მუშაობდა პროფესიონალურ ჯაზ-კოლექტივებში: დიუკ ელინგტონთან, ფლეტჩერ ჰენდერსონთან თუ "ჩიკ" უებთან. მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა საკუთარ ორკესტრს ნიუ-იორკში, სადაც შეკრიბა სვინგის ნამდვილი ვარსკვლავები: ჩუ ბერი, ტუდი უილსონი, დიკი უელსი.. კარტერის არანჟირებულ თემებს კი ასრულებდნენ: ბილი ჰოლიდეი, ელა ფიცჯერალდი, სარა ვოენი, ლუი არმსტრონგი, რეი ჩარლზი, პეგი ლი...

ნიუ იორკელი კარტერი მუსიკამ ბავშვობიდან გაიტაცა. მუსიკალური განათლება სახლში მიიღო: ფორტეპიანოს დედა ასწავლიდა; შემდეგ ფული შეაგროვა საყვირისთვის, რაც მოგვიანებით საქსაფონში გაცვალა. თუმცა, ამ ინსტრუმენტის ერთგული სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. მუსიკოსობა კარტერის თვაიდან გატაცება იყო. ამიტომაც, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების დრო დადგა, ჯერი თეოლოგიურ ფაკულტეტზე შეაჩერა. თუმცა, არ გასულა დიდი დრო და მიხვდა, რომ ჰობი პროფესიად უნდა ექცია. თავიდან კარტერი ფლეტჩერ ჰენდერსონის ორკესტრში უკრავდა. 1935-38 წლებში კი წარმატებით გასტროლიორობდა ევროპაში ვილი ლიუისის ორკესტრთან.

სამშობლოში დაბრუნებული კარტერი თანამშრომლობდა ბენი გუდმანთან, ქაუნთ ბეისისთან, გლენ მილერთან. 40-იანი წლებიდან კი კარტერმა დაიწყო ჰოლივუდის კინოსთვის მუსიკის წერა. აქტიური საკონცერტო და საგასტროლო მოღვაწეობა ბენი კარტერმა 70-იანი წლების ბოლომდე გააგრძელა. აღსანიშნავია, რომ ასაკის მიუხედავად, მუსიკოსი უკანასკნელ წუთამდე არ წყვეტდა შემოქმედებით კავშირებს მეგობრებთან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად დარჩა.

# ბორჯომის ფესტივალი – სოციალური და ეკონომიკური პრობლემის მოსაგვარებლად

## "ხელოვნების ზეიმამდე" ორი დღე რჩება

მადი სერებრიაკოვა

**"ბორჯომის ფესტივალის არსებობა, მთელი მსოფლიოსთვის იმის ნიშანია, რომ შეიძლება ისეთ ქვეყანას ენდონ, სადაც ასეთი რანგის მუსიკოსები ჩადიან და ასეთი ფესტივალები ტარდება"** – ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ ეს სიტყვები გუშინ საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ოფისში გამართულ ფესტივალ "ხელოვნების ზეიმთან" დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე გამოთქვა. პრესკონფერენციას თავად ფესტივალის სულისჩამდგმელი, გამოჩენილი ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე და კამერული ცენტრის ხელმძღვანელი მანანა დავითაშვილი დაესწრნენ.

პრესკონფერენცია ტრადიციული მადლობებით დაიწყო. ლიანა ისაკაძემ საკუთარი მადლიერება, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტის მიმართ გამოთქვა, რომლის დადგენილებითაც ფესტივალი ყოველწლიური გახდა; შემდეგ გენერალური სპონსორის – საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიისა და კამერული ორკესტრის ხელმძღვანელობის, კერძოდ, მანანა დავითაშვილის ღვაწლზე ისაუბრა. რომ არა ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული თავდადება, ფესტივალი ვერ მიაღწევდა ასეთ მასშტაბებს: **"ქვეყანაზე სრულყოფილი არაფერია, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ასე გვიყვარს ჩვენი საქმე და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სულ უფრო მეტი და უკეთესი რამ შევქმნათ".**

პრესკონფერენციაზე ძირითად სასუბრო თემას მომავალი ფესტივალის პროგრამა და სტუმართა კონტიგენტი წარმოადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან სტუმრებს შორის ლიანა ისაკაძემ იუსტუს ფრანცი დაასახელა, რომელიც მსოფლიოს სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელია და მის გარეშე პლანეტაზე თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი კონცერტი აღარ იმართება. საქართველოში იგი ჰონორარის გარეშე ჩამოდის. საქართველოს ხშირი სტუმარი იყო ერი კლასი, რომელიც წლების წინ ბიჭვინთის ანალოგიური ღონისძიებების შემდეგ, წელს ბორჯომში გამოვა. განსაკუთრებით აღნიშნეს ედუარდ ბრუნერი, ვლადიმირ ტარასოვი და ივან მონიგეტიც.

როგორც შარშან, ფესტივალი წელსაც მრავალფეროვან ღონისძიებებს – მუსიკასთან ერთად, თეატრსა და მხატვრობასაც გვთავაზობს. მუსიკალური პროგრამის შედგენისას ლიანა ისაკაძემ განსაკუთრებული უკომპრომისობა გამოიჩინა: **"არ გავითვალისწინე ბორჯომში დასვენების მსურველი მსმენელის ინტერესები და პროგრამა ძალზედ რთული, ინტელექტუალური მუსიკით – მესინის, ტავენერის, ვასკსის ნაწარმოებებით შევადგინე. კიდევ უფრო ძნელია კლასიკის შესრულება – იმ ცნობილი ნაწარმოებების, რომელსაც იმდენად შეეჩვია ყური, რომ პატარა დეტალსაც აღარ გაპატიებენ".** განსაკუთრებით აღინიშნა გლუკის ბალეტი-პანტომიმა "დონ ჟუანი". ბორჯომის ფესტივაზე, ფაქტობრივად, მისი მსოფლიო პრემიერა შედგება (თუ არ ჩავთვლით მის ორი წლის წინანდელ შესრულებას თავად ისაკაძის დირიჟორობით, ოღონდ პანტომიმის გარეშე). საქართველოს კამერულ ორკესტრს ამჯერად გიორგი ჟორდანია უდირიჟორებს, ხოლო პარტნიორობას სახელმწიფო პანტომიმის თეატრი გაუწევს.

საინტერესოა, რომ "ხელოვნების ზეიმის" მნიშვნელობა გასცდა ხელოვნების მასშტაბებს. მანანა დავითაშვილმა გაიხსენა შოსტაკოვიჩის კვარტეტის წევრებთან სატელეფონო საუბარი. რუსმა მუსიკოსებმა ერთხმად გამოთქვეს მზადყოფნა ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად და დასძინეს: **"როგორც არ უნდა დაგვაშორონ პოლიტიკოსებმა, ჩვენ, ხელოვანი ადამიანები მაინც არ გავწყვეტთ ერთმანეთთან კავშირს".** ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ფესტივალის მნიშვნელობაზე სპონსორი კომპანიის ხელმძღვანელმა ისაუბრა. მამუკა ხაზარაძის თქმით, გასულ ფესტივალს იმდენად დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა, რომ წელს სპეციალურად ფესტივალზე დასასწრებად უცხოელ ბიზნესმენთა დიდი ჯგუფი ჩამოდის. მანვე აღნიშნა ის ფაქტიც, რომ ფესტივალის არსებობამ ძალზედ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ბორჯომის ინფრასტრუქტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე - შარშანდელთან შედარებით, ამ რეგიონის ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გახმაურდა: ნოემბრიდან პეტერბურგში საფუძველი ჩაეყრება მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსს, რომელსაც ლიანა ისაკაძის სახელი მიენიჭება. ამ ფაქტს თავად მევიოლინე ძალზედ მოკრძალებით შეხვდა: **"ეს პეტერბურგელების იდეა იყო, ვთხოვე თავი შეეკავებინათ, ჯერ ცოცხალი ვარ, ბოლოს და ბოლოს!"** – იუმორით აღნიშნა მუსიკოსმა.




მანანა დავითაშვილი, ლიანა ისაკაძე და მამუკა ხაზარაძე

# "ია" ფესტივალზე ვერ მიდის

თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის კაპელა "ია" დსთ-ს ქვეყნების ობოლ და სოციალურად დაუცველი ბავშვების შემოქმედებით მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობისთვის ემზადება.

როგორც კაპელას ხელმძღვანელმა მარინა ოცხელმა განაცხადა, ფესტივალი 14 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში გაიმართება და მასზე მიწვეულნი არიან დსთ-ს ქვეყნების სოციალურად დაუცველი და ობოლ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუსიკალური შემოქმედებითი ჯგუფები. ჯგუფში 18 წლამდე ასაკის 20-მდე მოზარდი უნდა ირიცხებოდეს. აღსანიშნავია, რომ სკოლა-ინტერნატის კაპელა „ია" შარშან ამ ფესტივალის უმაღლესი ნომინაციის – "ვოკალის უმაღლესი კულტურის" მფლობელი გახდა და საჩუქრად მუსიკალური ცენტრიც მიიღო. წლევანდელ ფესტივალზე შესასრულებელ პროგრამებზე მარინა ოცხელი „იას" წევრებთან ერთად უკვე მუშაობს, თუმცა უსახსრობის გამო, შესაძლოა, მათი გამგზავრება ფესტივალზე სათუო გახდეს. **(მედია-ნიუსი)**

# ივ სენ ლორანს თავისი ატელიე ენატრება

ლეგენდარულ ფრანგ დიზაინერს, ივ სენ ლორანს, რომელიც დაახლოებით წელიწადნახევარია ჩამოშორდა თავის საქმეს, ძალიან ენატრება სამუშაო და თავისი პარიზული ატელიე. როგორც ინტერვიუებში ამბობს, უსაქმოდ მოუსვენრად გრძნობს თავს: "ძალიან მაკლია ჩემი მოდელები, კაბები, ხანდახან საშინლად მოვიწყენ ხოლმე. კოკო შანელი 70 წლის იყო, როცა ყველაფერი თავიდან დაიწყო". ასე რომ, ალბათ, გასაკვირი არც იქნება, თუ 66 წლის დიზაინერი გადაწყვეტილებას შეცვლის და კვლავ საყვარელ საქმეს მიუბრუნდება.

## TV პროგრამა
15 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 09.40 სერიალი „ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე" 11.10 სერიალი „ჯაშუში" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი „ასულ ტეკილა" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.45 დოკ. ფილმი „ბუნება" 19.15 პერეკრესტოკი 19.40 სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" 22.00 სერიალი „კომისარი მონტალბანო" 22.50 ღამის კურიერი 00.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" 00.40 მხ.ფილმი „ჯუდი". მთ. რ-ში: კრისტოფერ ეკლსტონი, ქეით უინსლეტი.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები" 10.10 მხ. ფილმი „არლეტი" 11.35 დოკ. სერიალი 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა" 13.00 ლერერის შოუ 14.10 დოკ. სერიალი „72 საათი" 1-ლი ს. 15.15 მხ. ფილმი „მუმია - ეგვიპტის უფლისწული" 16.55 ტელესერიალი „ძილის წინ" 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ევროპის ბუნება" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 ჰოლივუდის ვარსკვლავები 19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა" 21.50 „ჩვენი ფეხბურთი" 22.35 ტელესერიალი „ძილის წინ" 23.00 „რა ხდება?" 00.00 მხ. ფილმი „კ-2 მაქსიმალური სიმაღლე".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი „სადა ხარ ძმაო?" მთ.რ-ში ჯორჯ კლუნი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 „ბრავო" „საქათმე" მთ. რ-ში ვინ დიზელი, ჯოვანი რიბიზი. 01.40 „ღამურა" „შავი ორმო" მთ. რ-ში ვინ დიზელი, რადა მიტჩელი. 03.45 პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 ზღაპარ იყო 19.40 სერიალი „რვაფეხა" 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 მხ. ფილმი „ქვის მფარველები".

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სკარლეტი" 15.00 მხ. ფილმი „ეშმაკის საკუთრება" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მხ. ფილმი „მაიკლი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნ.

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 ბურთი და მოედანი 10.50 მხ. ფილმი „საბედისწერო გასტროლები" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი 14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი „გმირებს ყურები არ ეყინებათ" 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. „სარას სამსახურში" 22.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი „იღბლის ქალაქი" 01.10 ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა" 10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 10.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" 11.00 სერიალი „ქალი პოლიციელი" 11.50, 15.15, 17.50, 19.50 მუსიკა 12.15 მხ. ფილმი „გასეირნება ღრუბლებში" 14.00 დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 მულტფილმი „ტომი და ჯერი" 15.30 მხ. სერიალი „ციებ-ცხელება" 16.30 დოკ. სერიალი „წარსული და აწმყო" 18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 18.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" 19.00 სერიალი „ქალი პოლიციელი" 20.00 დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები" მე-8 ს. 21.15 სერიალი „ციებ-ცხელება" 22.25 „ტელემეტრი" 22.45 მოკლ. მხ. ფ. „ადამიანი აერობიკა". 23.20 „ცხელი ცხრიანი" 00.20 მხ. ფილმი „ჩიხი".

### იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი „იუდას ქალი" 10.30 სპორტ. პროგრამა „გოლი" 11.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი „მკვლელობის ილუზია" 15.15 მხ. ფილმი „ბოროტი ორშაბათი" 17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 18.05 სერიალი „იუდას ქალი" 19.30 სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" 20.30 ლარის მახე 21.05 სერიალი „მკვლელობის ილუზია" 23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი" 23.55 მძაფრსიუჟეტიანი კინო „უფლის მსგავსად" 02.00 ქრონიკა.

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.10 სათავგადასავლო ფილმი „ჩვილის გასეირნება" 10.45, 14.10 მუსიკა 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 ისტორიული ფილმი „სამეფო წყალობა" 14.25 კომედია „ციხეში მინდა" 16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 16.20 მულტფილმი „სასწაულებრივი გადარჩენა" 17.30 თრილერი „ყინულოვანი დუმილი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს" 19.40, 22.40 „Пресс-папье" 19.50, 01.00 მუსიკა 20.15 ვესტერნი „რაზმი" 21.50 „გალერეა" 22.45 „რა არ ხდება" (ავტორი გ.ბერიძე) 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 00.55 საინფორმაიო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.30 ისტორიული ფილმი „ელ სიდი" 1 ს. 03.20 თრილერი „ინსტინქტი".

### VII არხი

09.10 მელოდია 09.25 „აჩიკუდა" 09.50 „ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 მელოდია - 10.30 მობილურები 11.20 მელოდია . 11.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 12.25 კომპიუტერული თამაშები 12.35 დისნეი და მისი მეგობრები 12.55 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა" 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.25 „ღამის კაპრიზი" - თემა: . 21.25 მობილურები 22.40 „კინოკლუბი" - „დუელიანტები" . ისტორიული . რეჟ: რიდლი სკოტი. როლებში: კიტ კერკდაინი, ჰარვი კეიტელი. 00.15 აუდიო-ვიდეო-ტელე 00.50 ტელესერიალი „შიმშილი"-მე-19 სერია 01.25 მელოდია.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Королева Марго" 12.05 „Смехопанорама" 12.35 Диснейклуб: „Ким Пять-с-плюсом" 13.15 Комедия „Обида" 14.55 „Ералаш" 15.05 Сериал „Ваш ход, инспектор" 16.15 „Кумиры". Н.Седых 16.50 Худ.фильм „Кукла" 17.55 Мелодрама „Свободная женщина" 19.25 Сериал „Герой нашего племени" 19.55 Худ.фильм „За кулисами" 22.00, 00.30 Время 22.35 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов". „Мавр" 23.40 Сериал „Шпионка" 01.00 „На футболе" 01.30 „Русский экстрим" 02.00 Детектив „Картины".

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!" 09.45, 21.55 Сериал „По имени Барон..." 10.45 Сериал „Тени исчезают в полдень" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 Ток-шоу „Короткое замыкание" 13.20 Детектив „Марш Турецкого". „Грязные игры", 1 с. 14.15, 17.45 „Экспертиза" 14.30 „Колоссальное хозяйство". 14.45 Вести - Москва 15.20 „Что хочет женщина" 16.10 Сериал „Семейные тайны" 17.15 Сериал „Простые истины" 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть 18.50, 03.45 „Дорожный патруль" 19.05 Вести - Спорт 19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва 19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50 „Спокойной ночи, малыши!" 23.00 Детектив „Марш Турецкого". „Грязные игры", 2 с. 00.00 „Славянский базар-2003". Конкурс молодых исполнителей эстрадной песни 01.40 Дневник фестиваля „Славянский базар-2003" 01.55 Худ.фильм „Отшельник" 04.05 Сериал „Сеть" 04.55 Сериал „Дживс и Вустер".

### НТВ

07.00 „Утро на НТВ" 10.05 Сериал „Жил-был я..." 11.00 „Сегодня утром" 11.25 Худ.фильм „Корона Российской Империи, или Снова неуловимые", 2 с. 13.00, 16.00, 18.00, 20.00 „Сегодня" 13.30 Ток-шоу „Страна Советов" 14.35 Сериал „След оборотня" 15.45 „Криминал" 16.35 Ток-шоу „Принцип „Домино". „Почему мы врем?" 18.30 Сериал „Скорая помощь 2" 19.25 Док.фильм „Николай 2. Круг жизни", 2 с. 20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „След оборотня" 23.00 „Страна и мир" 23.30 Сериал „Клан Сопрано" 00.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.45 „Сегодня" 02.10 „Гордон".

# კინოსა და მოდის კომერციული გარიგება

## ჰოლივუდი - სარეკლამო დაფა

ყველას ახსოვს "რეი ბანის" ის მზის სათვალე, რომელიც ოდრი ჰეპბერნს ფილმში "საუზმე ტიფანისთან" ეკეთა. ახსოვთ იმიტომ, რომ ოდრიმ კინოეკრანიდანაც კი შეძლო ახალი ჩაცმის სტილი დაემკვიდრებინა და დიდი, შავი სათვალე მოდურობის უმთავრეს რეკვიზიტად ექცია.

იგივე დამსახურება მიუძღვით კერი გრანტსაც, გრეის კელისაც და ჯეიმს დინსაც – ისინი საკუთარი პერსონაჟების "გავლით" აყალიბებდნენ ახალ სტილს; ანუ, მჭიდროდ უკავშირებდნენ ერთმანეთს კინოს და მოდას.

ცხადია, მოდისა და კინოს 60-იანური კავშირი თანამედროვე ჰოლივუდმაც გააგრძელა და ამაში გასაკვირი არაფერია. ახალი ტექნოლოგიებისა და სპეცეფექტების დაბადების შემდეგ ხომ ვიზუალურ მხარეს ამერიკულ კინოში სულ უფრო დიდი როლი ენიჭება. გავიხსენოთ, თუნდაც "ტიტანიკი", "შეყვარებული შექსპირი", "მულენ რუჟი", "მატრიცა"... ამ ფილმებში სრულყოფილი ვიზუალური გამომსახველობა ხან ბრწყინვალე სპეც-ეფექტებისა და კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით მიიღწევა, ხანაც ულამაზესი კოსტიუმების მეშვეობით. სწორედ ამიტომაც ასკვნის მოდის ისტორიკოსი ვალერი სტილი, რომ "მაყურებელი სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს მოდას და ეს ყველამ იცის, ვინც კინოინდუსტრიაში მუშაობს".

ე.ი. თუ ოდრის "რეი ბანი" კინოსა და მოდის პირველ დამაკავშირებელ ძაფად ითვლება, თანამედროვე ჰოლივუდში ეს ურთიერთობა სულ სხვა სიმაღლეზე აჰყავს სერიალს "სექსი დიდ ქალაქში": მან, ფაქტობრივად, კინო მოდის დიზაინერთა ერთგვარ სარეკლამო დაფად აქცია. შოუში ხომ თითქმის ისეთივე სიხშირით საუბრობენ სექსზე, როგორც "პრადაზე", "დოლჩე & გაბანასა" და არმანიზე. ყველამ იცის, რომ სარა-ჯესიკა პარკერის გმირს, კერი ბრედშოუს გარდერობში მანოლო ბლაჰნიკის ფეხსაცმელები, "პრადას" სანდლები და "დოლჩე & გაბანას" შავი კაბა უდევს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სწორედ ამ სერიალის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ დიზაინერები ძალებს არ იშურებენ, რათა საკუთარ ნაწარმს რეკლამა ტელე-სერიალებსა და კინოფილმებშიც გაუწიონ.

ასე იქმნება ვიზუალურ მხარეზე გადართული და არათუ ღრმა, არამედ საერთოდ, შინაარსისგან დაცლილი ფილმების მთელი სერია, რომელთა ერთადერთი დანიშნულება მოდის სახელების რეკლამირებაა. ასეთ ფილმებს მიეკუთვნება 2003 წლის ცხელი ზაფხულის რამდენიმე ბლოკბასტერი, მათ შორის "ლეგალური ქერათმიანი 2: წითელი, თეთრი და ქერაც" (მისი პირველ ნაწილი თბილისის დიდ ეკრანებზეც გადიოდა და დიდი წარმატებით სარგებლობდა ქართველ ქერათმიანებში).

რიზ უითერსპუნის გმირი, ქერათმიანი ელ ვუდსი მოდურ ტანსაცმელსა და ვარდისფერზე გაგიჟებული გოგოა. მისი მანიაში გადაზრდილი სურვილი – ეცვას ყოველთვის გამორჩეულად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოდის მზარდ როლს 21-ე საუკუნის ამერიკულ კინოინდუსტრიაში. ერთ-ერთ ეპიზოდში ელ ვუდსი მეგობარს ერთ ასეთ ფრაზასაც ეუბნება: "შეგიძლია, დაუკავშირდე ბილი დეილის – ვერსაჩეს კლიენტებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს". ეს კი უკვე აშკარა რეკლამაა, რომელზეც უარს არც თვით სახელგანთქმული ვერსაჩე ამბობს და რა გასაკვირია, რომ მსგავსი ფორმით რეკლამირება სიამოვნებდეს ისეთ ნაკლებად ცნობილ დიზაინერს, როგორც რიმ აკრაა.

აკრა საქორწინო კაბებს კერავს, რამდენიმე მათგანი ფილმშიც არის გამოყენებული. დიზაინერი ამბობს: "როდესაც "ოსკარის" ცერემონიალზე შენი ნახელავი რომელიმე ვარსკვლავს აცვია, ეს შენს ბიზნესზე დადებითად მოქმედებს. იგივე შემიძლია ვთქვა კინოზეც. მაყურებელი სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს ჰოლივუდის არჩევანს ახალი სტილის შექმნაში. რა აცვიათ მსახიობებს, როგორ კოსტიუმებს იყენებენ ისინი ფილმებში – აი, რით ხელმძღვანელობენ დღეს მოდას აყოლილი ქალბატონები. ერთი სიტყვით, ჰოლივუდი დიდი რეკლამა ხდება".

ამ პროცესის განვითარებას ხელს უწყობს ერთი სხვა დეტალიც. ფილმების საშუალებით დიზაინერები არამხოლოდ უკვე არსებულ პროდუქციას უწევენ რეკლამას, არამედ ექსკლუზიურად ამა თუ იმ ფილმისთვის ქმნიან კიდეც ახალ-ახალ ნაწარმს. მაგალითად, იგივე "ლეგალური ქერათმიანისთვის", უფრო ზუსტად მისი მთავარი გმირის, რიზ უითერსპუნისთვის შეიქმნა ფრჩხილის ლაქი O.P.I. Stila-ს თვალის ჩრდილი და "რუმიანა". ერთ-ერთ ეპიზოდში სელი ფილდის გმირი ისე აშკარად ათამაშებს ხელში ამ "რუმიანას", თითქოს ფილმში კი არა, სარეკლამო რგოლში თამაშობდეს და ხელშიც სარეკლამო პროდუქტი ეჭიროს.

რაც მთავარია, თითოეული ეს კომპანია ზრუნავს იმაზეც, რომ ფილმის პრემიერის პარალელურად მაღაზიებში გასაყიდად გამოვიდეს ფილმში გამოყენებული თითოეული მოდური ნაწარმი. მაგალითად, ამერიკაში უკვე წარმატებით იყიდება რიზ უითერსპუნის O.P.I.-ის ლაქი და კამერონ დიასის მზის სათვალეც, რომელიც მას ფილმში "ჩარლის ანგელოზები" უკეთია. ისედაც ეს სურათი, "ქერათმიანის" მსგავსად, მოდისა და კინოს ახალი, კომერციული გარიგების საუკეთესო მაგალითია. ფილმში ხომ კამერონ დიასის, დრიუ ბერიმორისა და ლუსი ლუს გმირები, დაახლოებით, 40-ჯერ იცვლიან კოსტიუმს და ჩაცმა-გახდის პროცესი გაცილებით უფრო საინტერესოა და ეფექტურია, ვიდრე მათი საგმირო საქმეები.

ასე რომ, ოდრი ჰეპბერნის სათვალით დაწყებული გარიგება დიდი წარმატებით მიმდინარეობს და მას ჯერ დასასრული არც უჩანს. ახალი ფილმები "განქორწინება" და "გარმენტო" "ქერათმიანის" ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ. "განქორწინებაში" კეიტ ჰადსონი და არც მეტი, არც ნაკლები, "ჰერმესის" ხელჩანთა "კელი" მონაწილეობენ.


ოდრი ჰეპბერნი ფილმში "საუზმე ტიფანისთან"


ქერათმიანი რიზ უითერსპუნი ახალ მოდას ქმნის


ჩარლის სამი "ანგელოზი"

# კაცი, რომელიც ვარსკვლავი 90 წლის ასაკში გახდა

ახლახან გლასტონბერის ფესტივალზე 1996 წელს აღმოჩენილი კუბური ჯგუფი Buena Vista Social Club-იც ჩავიდა. ამ დროისთვის ჯგუფის წამყვანი მუსიკოსი, 95 წლის კომპაი სეგუნდო უკვე ძალიან ცუდად იყო. მას საშინლად აწუხებდა თირკმლის ინფექცია და იძულებული იყო, ზაფხულისთვის დაგეგმილი რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცერტი გადაედო. არადა, ჯერ კიდევ მაისამდე ის არც ერთ ღონისძიებას არ აკლდებოდა, ყველგან ჩადიოდა განუყრელი პანამური ქუდითა და ჰავანური სიგარით, მხნედ ადიოდა სცენაზე და აკეთებდა საქმეს, რომელიც ყველაზე მეტად სიამოვნებდა – ასაკისთვის შეუფერებელი ტემპერამენტით ასრულებდა კუბურ მუსიკას...

"ბი ბი სი"-ს გუშინდელი ცნობით, კომპაი სეგუნდო კვირა ღამით, ჰავანაში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. "როიტერსის" ცნობით კი, მუსიკოსი ორშაბათს დღის მეორე ნახევარში მშობლიურ სანტიაგოში უნდა დაეკრძალათ.

კომპაი სეგუნდო Buena Vista Social Club-ის მეორე დანაკლისია. 2001 წელს ჯგუფმა მევიოლინე პედრო დეპესტრე გონსალესი დაკარგა. ის ბაზელში სოლო-ტურნეს დროს, სცენაზე დაეცა და გონს აღარ მოსულა.

სეგუნდო, ისევე, როგორც მთელი Buena Vista Social Club-ი რაი კუდერისა და ვიმ ვენდერსის აღმოჩენაა. მათ გაბედეს და ჩავიდნენ ფიდელ კასტროს კუბაში და იქ ულამაზესი ჰანგები იპოვეს, რომელთაც სეგუნდო, ფერერი და სხვები თავისთვის აჟღერებდნენ. ვენდერსმა ყველაფერი კინო-ფირზე აღბეჭდა, ფილმის თანხმლები კომპაქტის შექმნაზე კი კუდერმა იზრუნა. ალბომი Buena Vista Social Club-ი 1997 წელს "გრემითაც" აღინიშნა და გაიყიდა მისი ოთხ მილიონზე მეტი ეგზემპლარი; ვენდერსის დოკუმენტურ ფილმს კომპაი სეგუნდოსა და მისი მეგობრების მონაწილეობით კი მილიონობით ადამიანმა უყურა.

ასე დაუბრუნეს ამ ხანდაზმულმა მუსიკოსებმა მსოფლიოს კუბური მუსიკა. თვითონ კომპაი სეგუნდოს, იბრაჰიმ ფერერსა თუ ომარა პორტუონდოს კი სიბერეში აუსრულდათ ოცნება და სწორედ მაშინ, როდესაც ამას ვერაფრით წარმოიდგენდნენ, იგრძნეს, თუ რას ნიშნავდა საერთაშორისო აღიარება. ალბათ, ამიტომაც სეგუნდო ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ამბობდა: "ცხოვრება შანსს ყველას აძლევს. ცხოვრება ყველას აჯილდოვებს. უბრალოდ, მზად უნდა იყო, რომ შანსმა გვერდით არ ჩაგიქროლოს. ჩემთან შანსი მაშინ მოვიდა, როცა 90 წლის ვიყავი".


REUTERS
კომპაი სეგუნდო ფიდელ კასტროსთან ერთად

და მართლაც, 1997 წლის გლობალურ "გარღვევამდე" ხომ მუსიკოსები კუბაშიც კი ყველას დავიწყებული ჰყავდა. თავად კომპაი სეგუნდო შინ იჯდა და თავს სიგარების გახვევით ირჩენდა.

სეგუნდოს მუსიკალური კარიერა საერთაშორისო აღიარებამდე წლებით ადრე – 1956 წელს დაიწყო. სწორედ ამ წელს ჩამოაყალიბა მან ჯგუფი "კომპაი სეგუნდო ი სუს მუჩაჩოს", თუმცა, კუბურ სიმღერებს 1920-იანი წლებიდან ასრულებდა. 1958 წლის რევოლუციის შემდეგ კი სცენიდან საერთოდ გაქრა და საყვარელი სიგარების გახვევა დაიწყო. მუსიკას 1980-იანი წლების ბოლოს დაუბრუნდა. 1996 წელს გამოუშვა ალბომი "ლო მეხორ დე ლა ვიდა" (ცხოვრებაში საუკეთესო) და ამით აღნიშნა 90 წლის იუბილე. მისი ბოლო ალბომი "კალე სალუდ" 1999 წელს გამოვიდა და საკმაოდ თბილი რეცენზიებითაც აღინიშნა...

გუშინ კომპაი სეგუნდოს შვილი ამბობდა: "მამაჩემი ტრადიციულ კუბურ მუსიკაში ისეთ ვაკუუმს ტოვებს, რომლის ამოვსებაც ძალზე რთული იქნება. ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა განუმეორებელი ხიბლი და თავისი ხალხის დიდი სიყვარული".






"ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა" წარმოგიდგენთ გიგი თევზაძის ახალ წიგნს "საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება". რომლის პრეზენტაცია გაიმართება 16 ივლისს 5 საათზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დიუმას ცენტრის საპრეზენტაციო დარბაზში.
პრეზენტაციის დროს გაიმართება დისკუსია თემაზე "ვინ რა არის საქართველოში?" დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციების, ელჩების, მასმედიისა და ხელისუფლების ცნობილი წარმომადგენლები.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.